



ქართული
საქმიანობის
საქართველოს ევროპული ცენტრი

საქართველოს ევროპული ცენტრი

F 17.062
2

ლ. ბ ე რ ი ა

გვლისი უნა გაჯიხე
ამ.-კავ. სანიმუშო ქალაქი

ს ა რ ტ ბ ა მ მ ც ე მ ლ მ ბ ა
ტ ი ლ ი ს ი . — 1 9 3 7



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

~~112.598~~
~~112.598~~
~~112.598~~

ლ. ბ ე რ ი ა

2090

ფილიისი უნაგ გაჯაიხტეხ

ამ.-კავ. სანიმუშო ქალაქად

5084-11

ფილი 1-10.

53კვ. 16ღმ. 12ა. 10კ. 4რ.

ს ა რ ტ ბ ა მ რ მ ც ე მ ლ მ ბ ა



308 (C922.1)

თ. შილონი



სპეკ-2000
შემოქმედებულია

საქართველოს
პარლამენტის
მედიის
სამსახური

კორექტორი: ს. ცაიშვილი
გადაეცა წარმ. 19/X
ხელმ. დასაბეჭდ. 22/X
ფორმატი 5 X 8

ტირაჟი 3000
სტამბა „კომუნისტი“
კამოს ქ. № 68
მთავლიტი №1139

სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტე- ტის და ტფილისის საბჭოს გაერთიანე- ბულ კლენუმზე 1933 წლ. 22 სექტემბერს

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წ. ივნისის პლენუმმა ფართოდ დასვა საკითხი საბჭოთა კავშირის ქალაქების კომუნალური მეურნეობის მდგომარეობის შესახებ და დასახა მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ქალაქის მეურნეობა განხილულ იქნა როგორც ჩვენი სოციალისტური მშენებლობის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი. პლენუმის გადაწყვეტილებებში ნათქვამია:

„ხუთწლედისათვის ბრძოლაში, სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებისათვის, სოციალისტურ საწარმოთა განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის, რეალური ხელფასის განუხრელად ზრდისათვის ბრძოლაში ქალაქის მეურნეობის საკითხებს (ბინა, წყლით მომარაგება, განათება, გათბობა, კანალიზაცია, საქალაქო ტრანსპორტი, გარეგნული კეთილმოწყობა, აბანოები, სამრეცხაოები, საზოგადოებრივი კვება) უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა“.



ქალაქის მეურნეობა წარმოადგენს უმუშაო მშრომელთა საჭიროებისათვის, მათი კულტურულ-სა-
 ყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის
 მუშაობის კონკრეტულ უბანს. ჩვენ წარმატებით დავა-
 მთავრეთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის
 აგება, ჩვენ სწრაფი ნაბიჯით მივდივართ უკლასო სო-
 ციალისტური საზოგადოების შექმნის გზით. ამასთან
 ერთდროულად სწრაფად იზრდება საბჭოთა მუშის მო-
 თხოვნილებანი. ამხ. სტალინმა სთქვა:

„მუშა ახლა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. ახლან-
 დელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას სურს იცხოვროს ისე,
 რომ აკმაყოფილებდეს ყველა თავის მატერიალურ და
 კულტურულ მოთხოვნილებას როგორც სურსათის მო-
 მარაგების და ბინის მხრივ, ისე კულტურულ და სხვა
 ყოველგვარ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის მხრივ.
 მას აქვს ამის უფლება და ჩვენ მოვალენი ვართ უზრუნ-
 ველვყოთ მისთვის ეს პირობები“.

**ტფილისი უნდა გადაიჭყვეს ამიერ-კავკასიის
 სანიმუშო ქალაქად**

მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში
 ქალაქის საბჭოებმა უნდა ითამაშონ უდიდესი როლი და
 კიდევ ითამაშობენ ასეთს, თავისთავად ცხადია, ასეთსავე
 როლს უნდა ითამაშობდეს მშრომელთა მომსახურეობა-
 ში ტფილისის საბჭო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გან-
 ვლილ წლებში ტფილისი თვალსაჩინოდ გაიზარდა:
 ტფილისი დგას ამიერ-კავკასიის ერთ-ერთ სამრეწველო
 ცენტრად გადაქცევის გზაზე. ტფილისი არის არა მარ-
 ტო საქართველოს დედაქალაქი, არამედ ამიერ-კავკასი-



ის დედაქალაქიც, ამიერ-კავკასიის ფედერაციაში მდებარე
 ვალი სამი რესპუბლიკის დედაქალაქი.

ამიტომ, ამხანაგებო, ტფილისი უნდა გადაიქცეს
 ამიერ-კავკასიის სანიმუშო ქალაქად.

რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ? როგორია ტფილანი
 ამჟამად? როგორ მუშაობს, როგორ უძღვება მეურნეო-
 ბას ტფილისის საბჭო? როგორ კმაყოფილდება ტფილი-
 სის მშრომელი მოსახლეობის საჭიროებანი?

არ შეიძლება, რასაკვირველია, უარვყოთ მიღწე-
 ვები ტფილისის საქალაქო მეურნეობაში. მათ შესახებ
 აქ ილაპარაკეს მომხსენებლებმა და კამათში გამოსულმა
 ამხანაგებმა და მე აღარ გავიმეორებ. შევჩერდები უმ-
 თავრესად ტფილისის საბჭოს მუშაობის დეფექტებზე.
 ასეთები ბევრია, საჭიროა მათი გამომჟღავნება, რათა
 უფრო ადვილი იქნეს ზომების მიღება მათ გამოსასწო-
 რებლად.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ—ამი-
 ერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი, საქართველოს ც. კ-ი
 და ნაწილობრივ ტფილისის კომიტეტი—მთავარ ყუ-
 რადღებას ვაქცევდით სოფელს, საქართველოს სოფ-
 ლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას. ჩვენ სო-
 ფელს მივეციით ასობით და ათასობით მტკიცე მუშაკი,
 საქმიანი ერთგული ბოლშევიკი, საფუძვლიანად შევი-
 სწავლეთ და შევამოწმეთ ასობით სასოფლო-სამეურ-
 ნეო საკითხები და, უნდა ითქვას, მუშაობის ამ დარგში
 მივალწიეთ გარკვეულ წარმატებებს.

პოლიტიკური მდგომარეობა სოფლად ახლა სავსე-
 ბით მტკიცეა. კოლმეურნეობები მაგრდებიან მეურნეო-
 ბრივად და ორგანიზაციულად.

ცხოვრებაში ტარდება ამხ. სტალინის ლოზუნგი:

„გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ხოლო კოლმეურნეები—შეძლებულეობად“.

ჩაიმ, თამბაქომ, ყურძენმა, ბამბამ და სხვა ტექსტიკურმა და სპეციალურმა კულტურებმა მტკიცე ადგილი დაიკავეს საქართველოს ეკონომიკაში.

ხალხი სოფლად მუშაობს მართლაც ახალი წესით, ნამდვილი და ბოლშევიკური საქმიანობით, მედგრად და შეუპოვრად—იყოველივე იმ ახალის აზრი, რაც ჩვენ ამჟამად გვაქვს საქართველოს სოფელში.

უდიდესი ენტუზიაზმით, უდიდესი აქტივობით აწარმოებს ტფილისის პროლეტარიატი ბრძოლას ტფილისის სამრეწველო საწარმოებში. ასეთ მდგომარეობაში ტფილისის საბჭოს, თითქოს, უნდა გაეათკეცებია თავისი ღონისძიებანი ქალაქის მეურნეობის გარდაქმნისათვის, ტფილისის მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

სამწუხაროდ ეს ასე არ არის. ტფილისის საბჭო მუშაობს ძველებურად, ტფილისის საბჭო საკმაოდ არ გამოხატავს ტფილისის მუშათა მასების აქტივობას, ჯერ კიდევ არ არის გაქლენთილი მათი ენტუზიაზმით.

გაიარეთ საღამოს ტფილისის საბჭოს დერეფნებში: რომ არაფერი ვთქვათ ტფილისის საბჭოს როგორც პასუხისმგებელ, ისე არაპასუხისმგებელი მუშაკების, დაგვიანებაზე თქვენ იქ იშვიათად შეხვდებით მომუშავეებს, თქვენ იქ ვერ იპოვით მორიგეებსაც კი, რომლებსაც შეეძლოთ რაიმე ცნობის მიცემა, ან პასუხის გაცემა ისეთ კითხვაზე, რისთვისაც ტფ-ის საბჭოში მიდის ტფილისის მუშა, ტფილისის მშრომელი. ეს წვრილმანებია,

მაგრამ ისინი მოწმობენ იმას, რომ ტფილისის საბჭოში ყველაფერი რიგზე ვერ არის, ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ტფილისის საბჭოს მთელი რიგი მუშაკები ტფილისის საბჭოში მუშაობის დროს წინააღმდეგობას აწარმოებენ და ნაწილობრივ ახლაც ასწრებენ მუშაობის, უმაღლესი სასწავლებლების, უმაღლესი ტექნიკურ სასწავლებლების და სხვ. დამთავრებას. გამოკვლევის მასალების მიხედვით ასეთ მუშაკთა რიცხვი აღწევდა 20—30 პროცენტს. ხშირად ლექციებს, კონსპექტებს და გაკვეთილებს ამზადებდნენ მეცადინეობის საათებში. მე არა ვარ სწავლის წინააღმდეგი, — იგი კარგი საქმეა, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება მოახერხო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში და ამავე დროს კეჭიროს კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგის და ტფილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. ეს ხომ უდიდესი დაჭიმული მუშაობის დაუშრეტელი დარგია. და აი კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგემ და ამავე დროს ტფილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ავაქოვმა მისმა მოადგილემ ამხ. კილურაძემ და კიდევ ერთმა პასუხისმგებელმა მუშაკმა თავისი მუშაობის დროს შესძლეს მიეღოთ ინჟინერის წოდება. შე სრულიადაც არ მინდა უდიერად მოვიხსენიო არც ამხ. ავაქოვი და არც აქ გამოსული ამხ. კილურაძე, რომლებსაც ყველა ჩვენ, მათ შორის მეც, საკმარისად პატივს ვცემთ; მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი სწავლა უდაოდ ზიანს აყენებდა მათ მუშაობას ტფილისის საბჭოში, მათთვის მინდობილ საქმეს. ამიტომ საკვებითა და გასაგებია, მაგალითად, თუ რისთვის არ გაქონდათ ასე დაჟინებით მთელი რიგი უკანასკნელი წლების განმავ-

ლობაში ნაგავი ტფილისის ქუჩებიდან, კომუნალური მეურნეობის მუშაობის სხვა დეფექტებზე რომ არა ვსთქვათ რა.

ჩვენში ადგილი აქვს სენის მსგავს ასეთ მოვლენასაც: პრაქტიკული, საქმიანი მუშაობის ნაცვლად, ჩვენ გვიტაცებს არარეალური და ახლანდელ პერიოდში განუხორციელებელი გეგმები. მაგალითად—კერგზას (კოჯორის ელექტრონის გზა) მშენებლობა. რასაკვირველია, თავისთავად ეს კარგი იდეაა, მაგრამ საჭიროა თუ არა ჩვენთვის კერგზა ახლა, როცა ჩვენ ცხვირწინ თვით ტფილისში, ამდენი სამუშაო გვაქვს, ამდენი ობიექტი, რომლებსაც გარდაქმნა ესაჭიროებათ. განა ამჟამად უფრო მნიშვნელოვანი არ არის, მაგალითად, კალიაევის აღმართის რეკონსტრუქციის საკითხი, ქალაქის ორი უმნიშვნელოვანესი ნაწილის დაკავშირების პრობლემა, საარსებო საკითხი ავლაბრის და ნავთლუღის ასეული ათას მშრომელთათვის, „26“ სახელობის რაიონის მრეწველობისათვის? კერგზისათვის კი დაიხარჯა 1.900.000 მანეთი. ახლა იძულებული გახდენ შეეჩერებიან იგი, ხოლო კალიაევის აღმართისათვის გაიღეს მხოლოდ 750.000 მანეთი და მუშაობაც შეფერხდა. მხოლოდ ჩვენი ჩარევის შემდეგ კვლავ გაჩაღდა მუშაობა.

ეს არის იმის მაგალითი, თუ ზოგჯერ როგორი გაქანება ვიცით და იმას კი აღარ დაგიდევენ, თუ რითი უნდა გავამართლოთ და გავამაგროთ ეს გაქანება. ჩვენში დიდია მიდრეკილება ჰაეროვან გეგმებისა და ხმაურისადმი. თქვენ ალბათ იცით ტფილისის ბალნეოლოგიური კურორტის ისტორია. ამის შესახებ ყოველდღე სწერენ ჩვენს გაზეთებში და მოხსენებებს კითხულობენ. განზრახული იყო, არც მეტი არც ნაკლები, ქალაქს



საქართველოს
ხალხთა რესპუბლიკის
ხელნაწილების ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთელი ხარფუხის ნაწილის აღება, „ვენეციური“
ბის მოწყობა მდინარე მტკვარზე და სხვ., და ეს იმის
ნაცვლად, რომ შევდგომოდით ჩვენი აბანოების მეურნე-
ობის მოგვარებას და აგვეშენებინა თუნდაც ერთი ახა-
ლი რიგიანი სააბაზანო შენობა; ჩვენ ამჟამად სწორედ
ამას ვაკეთებთ.

ეს ფაქტები მე მომყავს იმისათვის, რომ ტფილისის
საბჭოს მუშაობის პრაქტიკაში ხმაური ატარებს სისტე-
მის ხასიათს.

რეკლამამ და ხმაურმა ტფილისის საბჭოს მუშაობის
გარშემო თავის გამოხატულება იპოვა გაზ. „ტიფლისკი
რაბოჩის“, არც თუ უხეირო გაზეთის ფურცლებზედაც.
მან მოათავსა მთელი რიგი წერილები მყვირალა და
მრავალისმეტყველი, მაგრამ სინამდვილესთან შეუფერე-
ბელი სათაურებით. აი, ზოგი მათგანი: „ტფილისი—კუ-
რორტი“, „შემოვავლოთ ტფილისს ტყის რკალი“ ან
„ტფილისის ყველა მთავარ ქუჩაზე მოსხმული იქნება
ასფალტ-ბეტონი“—ხომ ყველა ხედავს, რომ ეს მართა-
ლი არ არის (სიცილი) ან „5.000 ხე ტფილისის ქუჩებს“
—დეე თქვან ამხანაგებმა, თუ რამდენი ხეა ნამდვილად
დარგული (სიცილი) ან „ელექტრონიზანსვეტები
ტფილისის ქუჩებს“. ყველამ ვიცით, რომ დადგმულია
მხოლოდ 3 თუ 4 ელექტრონიზანსვეტი და ისინიც შე-
ფერხებით მუშაობენ (სიცილი).

ჩვენ, ბოლშევიკებმა, ვიცით როდის უნდა დავწე-
როთ, როდის უნდა ვაქოთ ვინმე და ავტებოთ აურ-
ხაური; ამას ჩვენ ჩავდივართ, როცა საჭიროა და როცა
ეს შეეფერება სინამდვილეს. მაგრამ რა საჭიროა თავის
მოტყუება და ხმაურობის ატეხა ტფილისის საბჭოს
თითოეული „ჰაეროვანი“ ან უმნიშვნელო დაწყებულო-



ბის გარშემო? ეს ხომ სახელს უტეხს როგორც სის საბჭოს, ისე გაზეთსაც.

განა ვინმესთვის საჭირო იყო თავისუფლების მოედანზე შედრევანი, რომელიც რამდენიმე ათას მანეთად დაჯდა? ეს იმ დროს, როცა ნატახტარის წყალს წინანდებურადვე ვერ აწვდიან ტფილისის მთელ რიგ რაიონებს. ნატახტარის მშენებლობა—ეს ძალიან დიდი საქმეა ტფილისისათვის მაგრამ მშენებლობა ჯერ კიდევ ან პროცენტით არ არის დამთავრებული.. ამიტომ გაუგებარი იყო დაჟინებითი სურვილი მოეწვიათ ქალაქს საბჭოს საზეიმო პლენუმი რაიონულ საბჭოებთან და აქტივთან ერთად ნატახტარის მშენებლობის „დამთავრების“ შესახებ. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ივნისის პლენუმის რეზოლუციაში ამის შესახებ კარგად არის ნათქვამი:

„საჭიროა ბოლო მოეღოს საქალაქო საბჭოებს პლენუმების საზეიმო საპარადო სხდომების პრაქტიკას. საქალაქო საბჭოების პლენუმი უნდა გადაიქცეს ამომრჩეველთა მიერ ასობით და ათასობით შემოტანილი შენიშვნების და წინადადებების საფუძველზე საქალაქო მეურნეობის საკითხების საქმიანად გადაჭრის ცენტრად“.

კონკრეტულად და ოპერატიულად ვუხელოვდვართ ქალაქის თითოეულ საწარმოს

ტფილისის საბჭო ჯერ კიდევ უხეიროდ მუშაობს თავისი მუშაობის კონკრეტულ დარგებშიაც. ტფილისის საბჭოს მთელი რიგი ძირითადი ობიექტები გამოკვლეულ იქნა ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის და ტფილისის კომიტეტის ბრიგადე-



ბის მიერ. უნდა აღინიშნოს იმის საფუძველზე რაც ვიცით ტფილისის საბჭოს მუშაკებთან ყოველდღიური შეხვედრისა და საუბრებით და ბრიგადებს მიერ შეგროვილი მასალის საფუძველზე. ესაა გეგმიანობის, კონკრეტულობის და ნამდვილი ოპერატულობის უქონლობა ტფილისის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სისტემაში. საწარმოთა საგრძნობი ნაწილი მუშაობს თვითდინებით, არ ჩანს მათი სისტემატიური ხელმძღვანელობა, შესრულების კონტროლი და მეთვალყურეობა მუშაობის მიმდინარეობაზე, სრულიად არასაკმაოა მუშაობის ტემპები. ეჭვს გარეშეა, საქალაქო მეურნეობის მშენებლობაში მთელი რიგი მომენტების მხრით ჩვენ ძლიერ ჩამოვრჩებით მუშის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა ზრდას, შედარებით ჩამოვრჩებით არა მარტო ისეთი ქალაქების ზრდას, როგორცაა მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი და ბაქო, არამედ საბჭოთა კავშირის მრავალი სხვა ქალაქის ზრდასაც. ბაქოში რომ ხარ, პირდაპირ გატაცებით და სიხარულით შეჰყურებ ბაქოს ორგანიზაციის, ბაქოს საბჭოს და კერძოდ მისი თავმჯდომარის აშხ. ბალახნიჩის მუშაობას წარმატებას.

ბაქოს მუშაობა სრულიადაც არ გავს ტფილისის მუშაობას.

ავილოთ მაგალითად ტრამვაი-საქალაქო ტრანსპორტის უმნიშვნელოვანესი სახე, რომელიც უშუალო მომსახურეობას უწევს ქ. ტფილისის მშრომელ მოსახლეობის ფართო მასებს.

ტფილისის ტრამვაის მდგომარეობას უკანასკნელ პერიოდში ახასიათებს მუშაობის დიდი გაუარესება, მომუშავე ვაგონების რაოდენობის შემცირება, მოსახლეობის მომსახურების გაუარესება.

ა. წ. პირველ ნახევარში მომუშავე ვაგონების რაოდენობა უდრიდა 143-ს გეგმით გათვალისწინებულ 150 ვაგონის ნაცვლად, ივლისში იგი შემცირდა 136-მდე, ხოლო აგვისტოში (26 აგვისტომდე)—123-მდე. აქვე შედის მისაბმელი ვაგონები, რომელთა რაოდენობა საერთოდ სტაბილურია და უდრის 38 ერთეულს.

მაშასადამე, ვაგონების რაოდენობის შემცირება ხდება მოტორიანი ერთეულების ხარჯზე, რომელთა რიცხვი მაგალითად, 14 აგვისტოსთვის ძლივს აღწევდა 77-ს, გეგმით გათვალისწინებულ 110 ერთეულის ნაცვლად. ტფილისის ტრამვაის მეურნეობის გაუარესების მიზეზად უნდა ჩაითვალოს, ნაწილობრივ, რემონტის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და, ამასთან ერთად, ზოგიერთი ძირითადი მასალის ნაკლებობა. ღუზების შემოსახვევად თუნდაც 100 კილოგრამი მავთულის თავის დროზე მიღება ტრამვაის არ ჩააყენებდა ასეთ მდგომარეობაში. მაგრამ მთელი რიგი ფაქტები მოწმობს, რომ თვით ტრამვაიშიაც ადგილი აქვს უპასუხისმგებლობას.

მიმდინარე რემონტის დაყენებას ახასიათებს საქმისადმი განსაკუთრებით დაუდევარი და, მე ვიტყვოდი, დანაშაულებრივი დამოკიდებულება; ამის გამო, მაგალითად, 10-დან 25 აგვისტომდე ყოველდღე 18—20 ვაგონი განმეორებით ბრუნდება პარკში, 15—17 ვაგონი



ყოველდღე იდგა სათადარიგო ხაზზე დეფექტების გამოსწორების სასწორებლად და, ბოლოს, 16-მდე ვაგონი ვერ შეკრიბა. დიოდა პარკიდან, რადგან იქვე, თვით პარკშივე შეკრიბებოდა ისეთი დეფექტები, რომელთა გამოსწორება აუცილებელი იყო.

მიმდინარე რემონტის საამქროს მუშაობის პრაქტიკაში შემოღებულია ასეთი წესი: რემონტის გათვალისწინება და დაჩქარებაში დაინტერესებული ბრიგადები, ხსნიან ნაწილებს როგორც მიმდინარე რემონტისათვის მდგარ და სხვა ბრიგადებზე მიმავრებულ ვაგონებიდან, რომელნიც დგანან კაპიტალურ რემონტისათვის და შემკრებ საამქროში.

ბრიგადირი სობოლი—პარტიის წევრი—პირდაპირ აცხადებს: „ცოდვა გამხელილი სჯობია—ვიპარავთ. რადგან არ იძლევიან სათადარიგო ნაწილებს რემონტისათვის“. იგივე დაადასტურეს მონტიორმა ვარაპაევმა და სხვა მუშებმა.

ამის შედეგი ისაა, რომ ხდება ხანგრძლივ რემონტში გაგზავნილი ვაგონების ნამდვილი გაძარცვა და განიავება, მით უმეტეს, რომ ერთი ნაწილის მოხსნა იწვევს უმრავლეს მოსაზღვრე ნაწილთა დაკარგვას. დამახასიათებელია, რომ „გაძარცვას“ ვერ გადაუტრყენ ვერც ერთვე მოსკოვის ვაგონები, რომელნიც, მოტორების უქონლობის გამო არ გაუშვიათ ხაზზე და რომლებსაც (ყველას) მოხსნეს სამუხრუჭო ჯაჭვები და სხვა ნაწილები.

ცუდი ხარისხის რემონტზე არანაკლები ზარალი მოაქვს ტრამვაისთვის ვატმანების და კონდუქტორების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას თავიანთ მოვალეობებისადმი, მოძრაობის უთაურ ორგანიზაციას, რის

გამოც ტრამვაის კომერციული სისწრაფე მუდამ მაზე დაბალია—11 კილომეტრი საათში 12-ის ნაცვლად.

ისიც კმარა ითქვას, რომ 1933 წლის პირველ ნახევრის განმავლობაში ტრამვაის ჰქონდა 316 მარცხი 193 უბედური შემთხვევით ადამიანების მიმართ (აქედან 23 სიკვდილის შემთხვევა); ამავე დროს 137 შემთხვევიდან—32 გამოწვეული იყო ტრამვაის ვაგონების ერთ-მეორეზე დაჯახებით, ხოლო 105—ავტო-საქაპანო ტრანსპორტზე დაჯახებით.

რადგან გაწყვილებული სვლა გატარებულია მხოლოდ 50 პროცენტით, ვატმანების მოპყრობა ვაგონებისადმი იწვევს პარკის გაუარესებას. ვატმანები არ იწერენ მთელ საჭირო რემონტს და შემდგომი ცვლისათვის ან პარკში ვაგონების გადაბარების დროს არ ამხელენ ვაგონების გაფუჭების ფაქტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ვატმანების ძველი კადრი ძირითადად დარჩა (136 კაცი მუშაობს 15 წელზე მეტს), არ სწარმოებს სამუშაოზე ახლადმიღებულთა საკმარის ინსტრუქტირება. აი, მაგალითად. ვატმანმა ვენიამინოვმა, უბრალო ოინბაზობის გულისთვის სრული სისწრაფით სვლის დროს ჩაუტოო უკანა სასვლელი და დასწვა ვაგონი. როცა სამსახურიდან მოხსნეს, მან პროტესტი განაცხადა: რატომ მითხოვთ სულ რაღაც ერთი შემთხვევისათვისო.

რემონტის ხარისხისა და სათადარიგო ნაწილების დამზადების საკითხები არ არის მოქცეული პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. საღუზე საამქროს მუშაობას, საამქროს, რომელიც სისტემატიურად აუარესებს ხარისხობრივ მაჩვენებლებს (1933 წლის პირველ ნახევარში ამ საამქროდან გამოვი-



და 112 წუნსადები ვაგონი) სამეურნეო და პარტიკულური ორგანიზაციები ამართლებდენ „ობიექტური მიზეზებით“ (მასალების უქონლობა).

ადგილობრივი მრავალტირაჟიანი გაზეთი არ ახდენს მუშების ყურადღების მობილიზაციას. უმსგავს და მახინჯ ფაქტების გარშემო და თავისი წერილების ხარისხით საამქრო კედლის გაზეთებზე დაბლა დგას. აგვისტოს განმავლობაში გამოსული 3 ნომერი შეიცავს 2—3 წერილს პროდუქციის ხარისხის შესახებ; არ არის მოთავსებული არც ერთი წერილი შრომის დისციპლინის დაცემის შესახებ, გაცდენათა, სამუშაოზე ძილის, შემთხვევათა და სხვ. შესახებ. გაზეთი აშკარად კულში მისჩანჩალებს საწარმოო ცხოვრებას. მიუხედავად გაბერილი განთავისუფლებული აპარატისა 4 კაცის შემადგენლობით და თვალსაჩინო ხარჯებისა გაზეთის შესანახად. ეს ხარჯი უდრის 53.000 მანეთს წელიწადში.

გაზეთის თითოეული ეგზემპლიარის თვითღირებულება 1 მანეთამდე აღწევს. ასეთი სახსრებით და შტატიტ მრავალტირაჟიანი გაზეთი შეიძლება უფრო შინაარსიანი და ოპერატიული გავხადოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ტრამვაის მუშაობა გაუარესდა და ტრამვაი საგრძნობ გაჭირვებას განიცდის მასალების, ტრანსპორტის, მუშა-ხელის და სხვ. მხრავ, ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი მას არ უწევს ოპერატიულ დახმარებას და მთავარ ყურადღებას იმას აქცევს, რომ რაც შეიძლება მეტი სახსრები მიიღოს თავის ბიუჯეტში, რომელშიაც ტრამვაის პირველ ნახევარი წლის განმავლობაში გადაურიცხავს 5.000.000 მანეთი.

მაჩიიძე: (ადგილიდან)—მეტი.



ბერია: ნახევარ წელში. ერთ წელიწადში იქნება.

რა გააკეთა ტფილისის საბჭომ? დამახასიათებელია, რომ 23 მაისამდე არ ყოფილა მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება ტრამვაის მუშაობის შესახებ. 1933 წლის 5 თვის განმავლობაში ტფილისის საბჭომ ვერ მიიტყდა იმისთვის, რომ გადაეჭრა თუნდაც ერთი საკითხი მაინც ტფილისის ტრამვაის შესახებ; ხოლო პირველი ოქმი 23 მაისის თარიღით — ეხება წინა ბაქანიდან შესვლის უფლებას, მეორე ოქმი, 2 ივნისის თარიღით — ტრამვაის რეკონსტრუქციას, ფართო ლიანდაგის დაგებას; მესამე ოქმი (2 ივლისისა) — საბარგო მანქანების მიმაგრებას ავლაბარში სამუშაოთა საწარმოებლად.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს თითონ უნდა ემგზავრათ ტრამვაით როგორც ცენტრში, ისე განაპირა უბნებში. პირადად უნდა შეემოწმებინათ როგორ მუშაობს ტრამვაი, რატომ არის ასეთი დაუსრულებელი რიგები ჭყლეტა-გვლემა გაჩერებებზე, რატომ დადიან ვაგონები ჯგუფ-ჯგუფად. საჭირო იყო ოპერატიულიად, პრაქტიკულად შეესწავლათ და გამოეკვლიათ დეფექტები ტფილისის ტრამვაის მუშაობისა და შემდეგ ფართოდ განეხილათ საკითხი პრეზიდიუმის სხდომაზე, მიეცათ კონკრეტული მითითებანი ტრამვაის დირექციისა და მოსამსახურეებისათვის. ამის ნაცვლად, როგორც ხედავთ, ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი მუშაობდა წინა ბაქანზე შესვლის, ფართო ლიანდაგის, კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე. მაგრამ ეს საკითხები, რომლებსაც თავისთავად შეიძლება დიდი მნიშვნელობა აქვთ, ხომ არ იყო ტრამ-

ვას მუშაობის მოწესრიგების პრობლემის გადაჭრა, მოსახელობის საჭიროებათა მომსახურების გაუმჯობესება.


საშენ მასალათა წარმოება

ავილოთ ტფილისის საბჭოს მუშაობის მეორე უბანი: საშენ მასალათა წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობის ამ დარგს დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველ რიგში თვით ტფილისის საბჭოს საჭიროებათათვის, აქ საქმე ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

ტფილისის საშენ მასალათა ტრესტის წარალი 1933 წლის 1 ივლისისათვის შეადგენს 1.266 ათას მანეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტრესტმა შესჭამა თავისი ძირითადი კაპიტალის ერთი მესამედი. ჯერ კიდევ გასული წლის 25 ივლისს ტფილისის კომიტეტმა ბიუროს გადაწყვეტილებით დაავალა ტფილისის საბჭოს ამხ. მაჩაიძის პასუხისმგებლობით გამოეყო ამ ტრესტისთვის 400 ათასი მანეთი საბრუნავი სახსრები, გაეჯანსაღებინა ტრანსპორტი, უზრუნველყო საკვებით საქაპნე ტრანსპორტი და სხვ.

მერე რა მოხდა? ტფილისის კომიტეტის მიერ განმეორებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის შემდეგ ტფილისის საბჭომ გამოჰყო სულ 70 ათასი მანეთი, მისცა ორი მანქანა და მაშინვე ჩამოართვა.

როგორც იცით, მიმდინარე წელს, 5 თებერვალს საკავშირო მთავრობამ, ხოლო შემდეგ საქართველოს სახკომსაბჭომაც გამოიტანეს სპეციალური გადაწყვეტილება საშენი მასალების წარმოების გაფართოებისა და მათი გაიაფების შესახებ. ორივე ეს გადაწყვეტილება ტფილისის საბჭოს აძლევდა კონკრეტულ მიზნობებს იმისი შემდგომი მუშაობისათვის საშენ მასალათა წარმოების





ხაზით. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ თითქმის არაფერი არ გაკეთებულა და ტფილისის საშენ მასალათა ტრესტის საწარმოები უწინდებურად იძლევიან ზარალს და არ ასრულებენ გეგმებს.

აგურის ქარხნებმა, რომლებიც ტფილისის საშენ მასალათა ტრესტში შემავალ საწარმოთაგან ყველაზე უფრო ჩამორჩენილები არიან, 1932 წელი დაამთავრეს 415.026 მან. ზარალით.

ხოლო 1933 წ. პირველ ნახევარ წლის საწარმოო პროგრამა აგურის ქარხნებმა შეასრულეს 38,8 პროც., ე. ი. ტფილისის საშენ მასალათა ტრესტის აგურის ქარხნებმა პირველ ნახევარ წელში დააკლეს მშენებლობას 2.371.200 ცალი აგური. შრომის ნაყოფიერება იმავე პერიოდისათვის განისაზღვრებოდა 76,80 პროც., ხოლო ხელფასი 115,1 პროც., ფრიად საგულისხმო ციფრებია!

გამომუშავებული აგურის ხარისხის საკითხებისთვის, აგურისა, რომელიც ქალაქ ტფილისის მშენებლობის ძირითად საკედლე მასალას წარმოადგენს—თავი არავის შეუწუხებია და არც იწუხებს. ხოლო აგურის ხარისხი, კომპეტენტური პირებისა და დაწესებულებების დასკვნის თანახმად, არა თუ არ შეეფერება დაწესებულ სტანდარტებს, არამედ, მიეკუთვნება მესამე ხარისხს, და იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცოტად თუ ბევრად საპასუხისმგებლო მშენებლობაზე.

ახლა აგურის თვითღირებულების შესახებ. მაშინ, როდესაც 1000 ც. აგურის სავალდებულო გასაყიდი ფასი 70 მანეთია, კომერციული თვითღირებულება აღწევს 106 მან.; ეს აიხსნება უმთავრესად ნედლეულისა და

დამხმარე მასალების გადაზიდვის ხარჯების გადამეტე-
ბით.

მაგალითად, ვაგონი ქვანახშირი ფრანკო სადგ. ტფილისი ჯდება 300—350 მან. ხოლო მისი მიტანა სადგურიდან ქარხნამდის—1.500—1.600 მან.; კუბომეტრი ქვიშა ფრანკო-ქარხნები ჯდება 70 მანეთამდე, როდესაც იგი თვით კარიერში 6 მანეთი ღირს.

და ამ საკითხს გადასწყვეტს ორი სატვირთო ავტომანქანა, ე. ი. მოსპობს მუდმივ ყოველწლიურ ზარალს 400.000 მან. რაოდენობით. ტფილისის საბჭომ ვერ მოახერხა მანევრირება თავისი ტრანსპორტით, მისი ისე გამოყენება, რომ ტფილისის საშენ მასალათა ტრესტისათვის გამოეყო ორი მანქანა.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის არც ერთი წევრი პირობად არ ყოფილა საწარმოებში. არ უნახავს, თუ რა მძიმე პირობებში ცხოვრობენ და მუშაობენ აგურის ქარხნების მუშები. სველი აგურის გასაშრობი ფარდულები „გამოყენებულია“ მუშების სადგომებად; სადგომების უმრავლესობა უფანჯროა, სავსებით უიატაკო, სინათლე არა აქვს. იქ სრული ანტისანიტარია სუფევს, სამრეცხაოებზე, შხაპებზე და სხვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

კვება ცუდია და არც ჰყოფნის ყველა მუშას ვინაიდან ტფილისის საზკვების ტრესტს დაუწევსებია კონტიგენტი—არა ფაქტიურად მომუშავე მუშების რიცხვის მიხედვით, არამედ მხოლოდ 75 პროც.-თვის. არ უზრუნიათ მუშათა მომარაგებაზე; ეს კი ერთ-ერთი პირობაა, რომელიც უზრუნველჰყოფს გეგმის შესრულებას.

მოვიყვან კიდევ ტფილისის საბჭოს სამეურნეო საქმიანობის ერთ დამახასიათებელ მაგალითს: ქარხანა,



„ხის ნაწარმს“, რომელიც მოწოდებულია მშენებლობას სტანდარტული ხის ნაწარმით (კარ-ფანჯრები, ჩარჩოები, პარკეტი), თვით ტფილისის საბჭოს საწარმოები და მშენებლობანი არ აღელვეენ დაკვეთებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქარხნის ფასები სხვა ცალკე მშენებლობათა ნაწარმის ვასებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია და თანაც მასი ნაწარმი ხარისხითაც უკარგია. (აღვილიდან: მართალია).

ამრიგად, ქარხნის მუშაობისადმი ტფილისის საბჭოს და ტრესტის მხრით არასაკმაო ყურადღების გამო ქარხანამ წარსულ წელს გეგმა შეასრულა მხოლოდ 54,8 პროც., ხოლო 1933 წ. პირველ ნახევარ წელიწადში — 65,8 პროცენტით.

როგორ არის დაყენებული პარტმასობრივი, პროფესიული და კომკავშირული მუშაობა ტფილისის საშენ მასალათა ტრესტის საწარმოებში? ცუდად. წარმოუდგენელია პარტიული, კომკავშირული, პროფესიული ან საერთოდ სხვა რაიმე მუშაობა, როდესაც გვაქვს ასეთი მაჩვენებლები. აქ რაიონული ორგანიზაციებიც, ტფილისის კომიტეტიც, უჯრედებიც ცუდად მუშაობენ; სხვა-ნაირად არ შეიძლება ამის ახსნა, მუშაობა, რომ წარმოებდეს, ასეთი მოვლენებიც აღარ გვექნებოდა.

გარღვევა საშენ მასალათა წარმოებაში უარყოფით გავლენას ახდენს ტფილისის საბჭოს საბინაო მშენებლობის მსვლელობაზე, შლის იმ მინიმალურ პროგრამასაც, რომელიც ტფილისის მიმდინარე წელს აქვს.

ბინის საკითხი ტფილისში, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან მწვავედ დგას, მოვიყვან რამდენიმე მაჩვენებელს, რომელნიც საკმაოდ არახელსაყრელ სურათს გვიჩატავს.

1926 და 1932 წლების აღწერის მონაცემების ერთმანეთთან შედარებიდან ნათლად სჩანს საბინაო ფართობის ზრდის ჩამორჩენა მოსახლეობის ზრდისაგან.

1926 წლიდან 1932 წლამდე საბინაო ფართობი გაზრდილია 172,680 კვ. მეტრით ანუ 9 პროცენტით, მოსახლეობა კი — 78.091 კაცით ანუ 27,9 პროცენტით. თუ 1926 წელს საშუალო საბინაო ფართობი ერთ სულზე ტფილისში შეადგენდა 6,9 კვ. მეტრს, 1932 წელს იგი უდრიდა მხოლოდ 5,9 მეტრს, ე. ი. იმაზე უფრო ნაკლებს, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში, და საერთოდ ნორმაზე ნაკლები იყო.

1927—1932 წლების მანძილზე ტფილისში აგებულ იქნა 118.300 კვ. მეტრი საბინაო ფართობი, ხოლო იმავე ხნის განმავლობაში დაინგრა და აღებულ იქნა 131600 კვ. მეტრი.

როგორც ვხედავთ, დანგრეული და აღებულია 13.300 კვ. მეტრით მეტი, ვიდრე აშენებულა.

დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, აქ უნდა განვაცხადოთ სამარცხვინო მოვლენის შესახებ, განვაცხადოთ იმისათვის, რომ თავი დავალწიოთ ამ სირცხვილს: ყველა სოციალური ჯგუფიდან საბინაო ფართობით უფრო უზრუნველყოფილნი არიან მოსამსახურენი, ხოლო ყველაზე ნაკლებად დაბალი მოსამსახურე პერსონალი, მუშები და არტელების წევრები. ეს სირცხვილია, რომ საქართვე-

ლოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ამდენი წელიწადის განმავლობაში, ამიერ-კავკასიის და საქართველოს ტერიტორია-ქალაქში ამნაირი მდგომარეობაა, ხოლო ამხ. გაეცეს-კი საბინაო მეურნეობის მმართველი, ახალ სახლებში ჩასახლებულ მდგმურთა სოციალურ შემადგენლობასაც კი არ იცნობს და, როგორც ჩანს, ამით ნაკლებადაა დაინტერესებული.

ადგილიდან: მართალია.

ტფილისის კომიტეტი და ცენტრალური კომიტეტი სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდენ იმას, რომ შეიცვალოს პროლეტარულ სახელმწიფოში ეს სრულიად შეუწყნარებელი შეფარდება ტფილისის მუშების საბინაო მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესების მხრივ, სპეციალურად მუშების სახლების მშენებლობის გაძლიერების გზით.

საფიქრებელი იყო, რომ ასეთ მდგომარეობას იძულებული უნდა გაეხადა ტფილისის საბჭო მაქსიმალური ყურადღება მიექცია საბინაო მშენებლობის საკითხებისათვის, მაგრამ ნამდვილად სხვას ვხედავთ.

გეგმით გათვალისწინებული 18 ობიექტიდან 1930 წელს დაწყებულ იქნა მუშათა მხოლოდ ერთი სახლის მშენება აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკისათვის.

1932 წ. დაწყებულია 7 ობიექტის მშენებლობა.

1932 წელს დაწყებულია 3 ობიექტის მშენებლობა-არც ერთი მშენებლობა მთლიანად ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა შესრულებულია 29,5 პროცენტით. კაპიტალის ათვისების 7 თვის გეგმა შესრულებული 75,1 პროც.

მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს გათიშვის არსებობა მშენებლობის ტექნიკურ მომზადებულობასა და კაპიტალის ფაქტიურ ათვისების შორის. ასე, მაგალითად, სპეციალისტების სახლის მესამე კორპუსის შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრება 252,3 ათასი მანეთით, რაც შეადგენს სრული ღირებულების 55,8 პროცენტს, ხოლო მისი ტექნიკური მომზადებულობა 1 აგვისტოსათვის უდრის სულ 11 პროცენტს.

7 თვის განმავლობაში წლიური გეგმის შესრულების მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებული ტემპები ვერ უზრუნველყოფენ 1933 წლისათვის საბინაო მშენებლობის დარგში დასახული გეგმის განხორციელებას.

ასე, მაგალითად, ავლაბრის მუშათა სახლის კორპუსი „ბ“ გეგმით უნდა დამთავრდეს 1933 წლის სექტემბერს, ამავე დროს ტექნიკურად მისი მომზადებულობა 1933 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 46,4 პროცენტს, ხოლო 1 აგვისტოსათვის მხოლოდ 57,9 პროცენტს.

იმავე სახლის კორპუსი „ს“ გეგმით უნდა დამთავრდეს 1933 წ. დეკემბერს. მისი ტექნიკური მომზადებულობა 33 წ. 1 იანვრისათვის შეადგენდა 12,2 პროცენტს 1 აგვისტოსათვის კი—მხოლოდ 23,9 პროცენტს. ცხადია, იგი ვადაზე მზად არ იქნება.

საბინაო მშენებლობის გეგმის შესრულების მხრივ ძლიერი ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კონკრეტული ხელმძღვანელობის გაუწევლობა. ტფილისის საბჭოს მიერ. ტფილისის საბჭოში არ არის ერთიანი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდეს მთელს მუშაობას საბინაო მშენებლობის ხაზით. ტფილისის საბჭო

ბინკომმუნთან სამუშაოთა წარმოების შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღარ დაინტერესდებოდნენ მშენებლობის მსვლელობის საკითხით.

ასე, მაგალითად, მუშათა სახლი დოლაბაურში აგებულ იქნა ისე, რომ სამუშაო ნახაზები არ ჰქონიათ, ამის გამოა, რომ სახლს არ გააჩნია სამხარეულო, წყალსადენი, კანალიზაცია, უმართებულოდაა გაყვანილი საკვამლეები; კარები ისეა ჩამოკიდებული, რომ დერეფანში 2 მდგმურის ერთ და იმავე დროს გასვლისას ისინი გვერდს ვერ შეუვლიან ერთმანეთს. ყველა ამ დეფექტების ამბავი ტფილისის საბჭომ მხოლოდ მშენებლობის დამთავრების შემდეგ გაიგო.

მეორე მაგალითი: ავლაბრის მუშათა სახლის კორპუსი „ა“-ში იმის გამო, რომ ტფილისის საბჭოს მხრივ მშენებლობის მსვლელობას ტექნიკური ზედამხედველობა და სისტემატიური მეთვალყურეობა არ ეწეოდა, კაპიტალურმა კედელმა დაიწია, რის გამო გაიბზარა განაპირა ბინების თაღები, მუშაობის ხარისხი უვარგისია (იატაკი უსწორ-მასწოროდაა დაგებული და სხვ.).

ეს დეფექტები გამოაშკარავებულ იქნა ბრიგადის მიერ მშენებლობის უშუალოდ დათვალიერებისას. დამახასიათებელია, რომ საბინაო მეურნეობის მმართველმა ამხ. გაევსკი მხოლოდ ბრიგადის მოთხოვნით გაემგზავრა მშენებლობაზე, სადაც ბრიგადის მისვლამდე იგი არასოდეს არ ყოფილა.

ახალი ბინების მიღების ჩასახლების და ექსპლოატაციის საქმეში სრული ქაოსი სუფევს. ტფილისის საბჭო აჭიანურებს დამთავრებულ სახლების მიღებას, რის გამო სახლები მოუფლელია.

ასე, მაგალითად, აბრეშუმის ფაბრიკის სახლე-
ლის მშენებლობა 91,9 პროც. დამთავრებულია, რომ
ეკონომული
მიჯნობა
სის საბჭოს არ ჩაუბარებია, მაგრამ, ამასთან ერთად, ამ
სახლში არსებულ 103 ოთახიდან 97 უკვე დასახლებუ-
ლია.

საბინაო მეურნეობის მმართველი გაეცეს კი მხო-
ლოდ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ბრიგადის გამგზავრე-
ბასთან დაკავშირებით პირველად გაეცნო ამ საქმეს, რის
შემდეგაც მან პრეზიდიუმის 28 აგვისტოს სხდომაზე
შეიტანა მოხსენება აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის სახ-
ლის მდგომარეობის შესახებ.

ჩასახლება დაიწყო 1932 წლის ოქტომბრიდან, ცალ-
კე ბინების დამთავრების მიხედვით, სახლს ზედამხედვე-
ლობას არ უწევენ. საბინაო ქირა არ არის დაწესებუ-
ლი და მას 1932 წ. ოქტომბერს არ ახდევენებენ, რო-
გორც ამას აცხადებს აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუ-
შა ამხ. მუჯირიშვილი, რომელიც ზაზოგადოე-
ბრივი დატვირთვის წესით კომენდანტის მო-
ვალეობას ასრულებს.

ასეთივე მდგომარეობაა დოლაბაურის ქუჩაზე № 2
ახლად აგებულ სახლში, აქ საბინაო ქირას არ ახდევი-
ნებენ 1932 წლის ნოემბრიდან.

ჩვენი ახალი მშენებლობა, როგორც უკვე ვილაპა-
რაკე, ვერ ფარავს საბინაო ფართობის იმ დანაკლისსაც
კი, რომელიც გვაქვს ცალკე ნაგებობათა და ძველების
აღების გამო. და თუ საბინაო ფართობი მაინც იზრ-
დება, ამ მოვლენას ხელს უწყობს მოსახლეობის ინიცია-
ტივა და თვითმოქმედება საცხოვრებელ სადგომებად
არასაცხოვრებელი სადგომების: სამხარეულოების, დარა-
ბების და სხვ. გადაკეთების საქმეში. ამ მოვლენამ სტი-

ქართული ხასიათი მიიღო, ვინაიდან მთელი მუშაობა სა-
ცხოვრებელ სადგომებად არასაცხოვრებელ სადგომებზე
შეგუებისათვის რჩებოდა და დღემდისაც რჩება სათანა-
დო ორგანოების გავლენის სფეროს გარეშე.

ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა მოვაქციოთ არ-
სებული საბინაო ფონდის ყოველნაირად შენარჩუნება.
აქ საჭიროა გავაძლიეროთ საცხოვრებელი სახლების მი-
მდინარე და კაპიტალური რემონტი, როგორც განსაზო-
გადობებული სექტორის სახლებში, ისე კერძო პირთა
სახლებში. ამავე დროს საჭიროა მიღებულ იქნას ზომე-
ბი კერძო სექტორის მოსამარაგებლად საშენი მასალით
სათანადო პირობების მიხედვით.

სახლების რემონტისათვის შემოდებულ უნდა იქნას
განსაზღვრული სისტემა და გეგმიანობა მუშაობაში.

სახლების რემონტი უნდა იყოს სავალდებულო რა
სრულდებოდეს უყოყმანოდ. იგი უნდა ექვემდებარებოდ-
დეს რაისაბჭოს კომუნალურ მეურნეობის განყოფილე-
ბათა მუდმივ კონტროლს; ამასთან ერთად განსაკუთრე-
ბული ყურადღება უნდა მიექცეს კერძო სახლებს.

წყლით მომარაგება, კანალიზაცია და კეთილმოწყ-
ობის სხვა სახეები—ისეთი ფაქტორებია, რომელნიც
განსაზღვრავენ ქალაქის სანიტარულ და კულტურულ
მდგომარეობას. ის გარემოება, რომ მოსახლეობის მხო-
ლოდ 13,3 პროც. აქვს შესაძლებლობა ერთდროუ-
ლად ისარგებლოს წყალსადენით, ელექტრონით. საპირ-
ფარეშოებით და სხვ. მოწმობს, რომ ჩვენი სახლების კე-
თილმოწყობის მხრივ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთე-
ბელი, რათა ქალაქის კულტურულ ცხოვრებას ეზიაროს.
ქალაქ ტფილისის მთელი მოსახლეობა, პირველ რიგში
მუშები.



ეს არის ამოცანა, რომელიც მთელი სიგრძე-საგანს დასაძინებელია ტფილისის საბჭოს წინაშე და მოითხოვს მაქსიმალურ ყურადღებას ენერგიულ მუშაობას. დაკვირვებით ტექნიკურ და საგრძნობ სახსრებს. ტფილისის საბჭომ ბოლომდე ვიკურად უნდა მოჰკიდოს ხელი მის გადაჭრას

წყალი

ქალაქის კეთილმოწყობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია წყლის სულობრივი მოხმარება:

მოსკოვში 1913 წელს თითო სულზე იხარჯებოდა 61,5 ლიტრი წყალი, 1932 წელს კი—128,0 ლიტრი. ტფილისში 1931 წელს იხარჯებოდა 50,1 ლიტრი, ხოლო 1933 წელს—56,9 ლიტრი.

1933 წელს წყალსადენის ქსელი 1931 წელთან შედარებით მხოლოდ 8,2 კილომეტრით გაიზარდა.

ამავე დროს, ნატახტარის წყალსადენი, რომელმაც ტფილისი წყლით უნდა უზრუნველყოს, შენდებოდა ოთხ წელიწადზე მეტს.

ვიმეორებ ნატახტარის წყალსადენს ტფილისისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ტფილისისათვის სუფთა, წყაროს წყლის მიწოდების ამოცანა გადაჭრილია, მაგრამ ნატახტარის წყალსადენის მშენებლობის მოავერ სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს განსხვავება, რომელსაც ადგილი აქვს პირველი რიგის ძირითად ნაგებობის მშენებლობასა და ქალაქის ქსელის გადაკეთებას შორის. ქსელის გადაკეთებას შეუდგენ არა ერთდამავ დროს და არა ერთი-ორი წლის შემდეგ, ძირითად ნაგებობათა მშენებლობის დაწყებიდან, არამედ მას შემდეგ, როდესაც ყველა ეს ნაგებობა დამთავრდა.



ამის გამო ქალაქის ქსელს არ შეუძლია მიიღოს რველი რიგის არსებული დებეტი 4.200.000 ვედრო და ამჟამად მტკვარში იღვრება ორი მილიონი ვედრო წყალი დღე-ღამეში.

მდგომარეობა კიდევ იმით რთულდება, რომ აქამდის ნატახტარმშენს არა აქვს ქალაქის ქსელის გადაკეთების დამტკიცებული პროექტი, რომლის გარეშე მას არ შეუძლია მუშაობის დაწყება, მიუხედავად იმისა, რომ ნატახტარმშენმა უკვე მიიღო ამ ქსელის გადაკეთებისათვის საჭირო 300 ტონა მილი. მართალია?

კიღურაძე: (ადგილიდან)—მართალია. პროექტი ჯერ არ არის, ხოლო მიღებულია 600 ტონა მილი.

ბერია:—ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ გაიხსნა ნატახტარის წყალსადენი, რომელიც იძლევა ზედმეტ 2.000.000 ვედ. წყალს დღე-ღამეში. არავითარი გაუმჯობესება წყლის მომარაგების მხრივ არ უგრძვნიათ ქალაქის განაპირა უბნებს: ვაკეს, მთიან ნაწილს, ყოფილ მთაწმინდის რაიონს, საბურთალოს, ყოფ. ამაღლების ქუჩის რაიონს, ნავთლულის სამრეწველო რაიონს და სხვ., ამ რაიონებს წინანდებურად წყალი აქვთ მხოლოდ ღამის რამდენიმე საათს (ზაფხულის პერიოდში).

მოსახლეობის საჭიროებანი სრულიად უკმარისად კმაყოფილდება. „წყალკანალტრესტის“ აპარატი აბონენტების და მოსახლეობის ყოველგვარ საჩივარსა და განცხადებებს ეხმაურება ზანტად და ბიუროკრატიულად. აი რამდენიმე მაგალითი:

აბონენტმა ბოხუამ 27 ივლისს განაცხადა, რომ შტუცერს წყალი სდის ხოლო შეაკეთეს 4 აგვისტოს ე. ი. 9 დღის შემდეგ.

გეოლოგიურმა ინსტიტუტმა ითხოვა წყალსადენის
გაყვანა (წყალსადენის გაყვანისათვის აბონენტს
გვარი მასალა მოეპოვება), ფული შეტანილ იქნა 29
ივლისს, მაგრამ მუშაობა არ დაუწყიათ 28 აგვისტომდე.

წულუკიძის ქუჩაზე არსებულმა საიჯარო საბინაო
ამხანაგობამ 22 ივლისს შეიტანა განცხადება, სადინე-
ბელ ონკანს წყალი გასდისო, ხოლო სამუშაო შეასრუ-
ლეს 2 აგვისტოს ანუ 11 დღის შემდეგ.

ასეთი მაგალითები რამდენიც გასურთ იმდენი შემი-
ძლია მოვიყვანო, ისინი ახასიათებენ ტფილისის საბჭოს
ბევრი განყოფილების მუშაობას. მსჯელობენ ასე: „დი-
დი ამბავია, თუ იქ ვილაც რეკავს დეფექტის შესახებ,
დეე მოიცადოსო“. სულ სხვა საქმეა, თუ დარეკა ცენტ-
რალურ კომიტეტის მდივანმა, ან სახალხო კომისარმა.
მაშინ ყველაფერს სწრაფად გააკეთებენ და ამასაც არა
ყოველთვის.

ამ ჩვეულებებს, ძველის ამ ნაშთებს უნდა ვებრძო-
ლოთ ყველა, პირველ რიგში ტფილისის საბჭოს პრეზი-
დიუმი, ტფილისის საბჭოს თითოეული წევრი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნატახტარის წყალსადენის
ამუშავების შემდეგ მშენებლობის ზოგიერთ ობიექტზე
მუშაობის ტემპები თვალსაჩინოდ შენეულა. თავი იჩინა
გულდამშვიდებულობამ.

ნატახტარშენის პარტიული და პროფკავშირული
ორგანიზაციები არ იბრძვიან ამ მოვლენის წინააღმდეგ.
საერთოდ პარტიულ მასობრივი მუშაობა თითქმის არ
წარმოებს და ამ ორგანიზაციებს თავი იმით გაჰქონდათ,
რომ ტფილისის კომიტეტი არა ერთხელ გზავნიდა სპე-
ციალურ ბრიგადებს ადგილებზე დახმარების გასაწევად.

ნატახტარშენის ადგილკომს 1933 წელს სულ 3ქო.

ნდა ორი სხდომა. მის საქმეებში აღნიშნულია 2
და 4 ათასი მანეთის გაფლანგვა.



ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში,—მე არ ვლაპარაკობ ტფილისის კომიტეტის შესახებ, რომელიც ამ საკითხზე უშუალოდ მუშაობდა, არც ბაგრატ მაჩაიძის შესახებ, რომელიც აგრეთვე მუშაობდა ამ საქმეზე, მაგრამ ტფილისის საბჭო არ არის მარტო ერთი ბაგრატ მაჩაიძე, — რიად, ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმს არც ერთი სპეციალური გადაწყვეტილება არ გამოუტანია „წყალკანალტრესტის“ გარშემო, თუნდაც მუშათა განაპირა უბნებისათვის წყალის მიწოდების გაუმჯობესების დარგში და სხვ.

ტფილისის საბჭოს კომუნალური განყოფილების გამგეები, დაწყებული ამხ. ავაქოვით და გათავებული ამხ. ქავთარაძით, რომელიც ამჟამად ხელმძღვანელობას უწევს ამ ტრესტს, ერთხელაც არ ყოფილან „წყალკანალტრესტის“ ძირეულ საწარმოებში, საჭირო კი იყო იქ შეეხებნათ.

როგორც ჩანს, წყლის საკითხში ტფილისის მუშასკიდევ დიდხანს მოუხდება ლოდინი, თუ ტფილისის საბჭო ვერ მოახერხებს დასძლიოს აღებული ნელი ტემპები და მთელი ბოლშევიკური ენერგიით არ მიაწვება ამ საქმეს.

კანალიზაცია

ქალაქის კეთილმოწყობის მეორე მაჩვენებელია კანალიზაციის მდგომარეობა.

ტფილისის კანალიზაციის მაგისტრალები 1933 წ. 1 ივლისისათვის მოიცავენ ქუჩების მთელი მანძილის

მხოლოდ 53,2 პროცენტს, ე. ი. ქალაქის თითქმის ნახევარი უკანალიზაციოდაა.

საქართველოს
საინჟინერო-გეოლოგიური ინსტიტუტი

კანალიზაცია წარსულში გაჰყავდათ და ახლაც გაყავთ რაიმე წინასწარ დამუშავებული ერთიანი ტექნიკური პროექტის გარეშე და სანიტარული ტექნიკის მოთხოვნების დაუცველად.

საკანალიზაციო ბაზის ზრდა ძალიან ნელა მიმდინარეობს: 1932 წელს გაყვანილია 3,8 კილომეტრი, 1933 წ. განზრახულია 3,3 კილომეტრის გაყვანა, ხოლო გაყვანილია 1,7 კილომეტრი.

საკანალიზაციო მაგისტრალები არ მოიპოვება, უმთავრესად, მუშათა რაიონებსა და განაპირა კუთხეებში (საბურთალო, ღრმა-ღელე, ნავთლული, მამუკას სოფელი, ფერმა—ავლაბრის რაიონი, ნაძალადევი, იურიევის ქუჩიდან, ვაკეს ბოლო, არსენალის მთა, ორთაქალა საპნის ქარხნიდან, დიდუბე—ახალშენი).

15, 191 სახლიდან მხოლოდ 61,8 პროცენტს მოკვება საკანალიზაციო გაყვანილობა, დანარჩენი მცხოვრებნი სარგებლობენ ორმოებით, ხოლო 494 სახლი მოკლებულია ყოველგვარ საკანალიზაციო მოწყობილობას.

განა ეს სასირცხვო არ არის ტფილისისათვის?

დამახასიათებელია, რომ ბევრ რაიონში არა მარტო იქ. სადაც ახლად შეუქმნიათ საკანალიზაციო მაგისტრალები, არამედ იქაც, არის ძველი მაგისტრალები. უმთავრესად, მუშათა რაიონებში, (მაგალითად, პავლოვას, სტავროპოლის ქუჩები ნაძალადევში: პეტრეპავლესი, მეტეხის და ტუჩკოვსკის ქუჩები ავლაბარში, კომუნალური ქუჩა ორთაქალაში და სხვ.) ყველა სახლს როდი აქვს საკანალიზაციო გაყვანილობა; ამ რაიონებში დააზ-

ლოვებით 10—20 პროცენტი მოკლებულია საკანალიზაციო მოწყობილობას.



გამოდის, რომ რაიონებში გატარებულია კანალიზაცია, ხოლო სახლები მას მოკლებულნი არიან.

სახლებში საკანალიზაციო გაყვანილობის მოწყობას საქმე თვითდინებაზეა მიხედობილი: „ვინც მოდის და განცხადებას შემოიტანს, იმას გაუყვანენო,—ამბობს საკანალიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე ინჟინერი აგარონოვი. ამავე დროს კი მოიპოება ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება № 40, გამოცემული ჯერ კიდევ 1929 წელს, რომელშიაც ნათქვამია, რომ მაგისტრალის გაყვანის შემდეგ გაყვანილ სამაგისტრალო ქსელზე მდებარე სახლები ვალდებული არიან ერთი თვის ვადაში შეუერთდეს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და მათ მიესჯებათ იძულებითი სამუშაო ან ჯარიმა ასი მანეთის რაოდენობით.

ეს დადგენილება ცხოვრებაში არ ტარდება.

ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ისეთ პასუხსაგებ კრებაზე, როგორიც დღევანდელი კრებაა, საჭიროა შეგვიხოთ ისეთ „წვრილმანსაც“, როგორიც საზოგადოებრივი ფეხისადგილებია. ტფილისში ისინი ძლიერ ცოტაა,—სულ ცხრა და ყველა ისინი ანტისანიტარულ მდგომარეობაში არიან. სიფონებს და ჩამომსხმელ რიკულებიან მილებში წყალს აწვდიან არა სისტემატიურად, არამედ მხოლოდ გარეცხვის და გაწმენდის მომენტში. ამავე დროს კი თითოეულ ფეხისადგილს ჰყავს მიჩენილი შტატის მუდმივი მუშა. გარდა ამისა, არის ერთი ათისთავი, რომელიც თვალყურს ადევნებს ფეხისადგილების საერთო მდგომა-

რეობას. რაშია საქმე: რატომია ფეხისადგილები ანტი-
სინიტარულ მდგომარეობაში?

ირკვევა, რომ, ჯამაგირის გარდა, ყველა ეს მუშა
დებულობს საპრემიო დახმარებას წყლის გამოზოგილი
კუბომეტრების რაოდენობის მიხედვით (სიცილი). ამ
ფაქტს არ შეიძლება სხვა რაიმე ეწოდოს, თუ არა უთა-
ურობა, აი მაგალითები:

არ უთ ყაზარჩიანი, ელბაქიდის დაღმართთან არ-
სებულ ფეხისადგილის მუშა 1932 წ. დეკემბრის განმა-
ვლობაში ყოველდღე ეწეოდა 19.250 კუბომეტრის
წყლის ეკონომიას, მაშინ როცა წყლის დღიური ხარჯ-
ვის დაწესებული ნორმაა 24.720 კუბომეტრი მაქსიმუმ
და 19.780 მინიმუმ; ამ ეკონომიისათვის მას მიუღია
ჯილდო 45 მან. 71 კაპ., იქ, ცხადია, ანტისინიტარულ
მდგომარეობაშია (სიცილი).

პოდოს აბრამოვს—თეატრის ქუჩის ფეხისად-
გილის მუშას ამა წლის მაისის განმავლობაში მიუღია
36 მან. 35 კაპ., დღეში საშუალოდ 15.575 კუბომეტრი
წყლის ეკონომიისათვის, მაშინ, როცა ნორმის მაქსიმუ-
მი უდრის 18.240. მინიმუმი კი 14.590, ე. ი. მოუცია
მნიშვნელოვანი ეკონომია დაწესებულ მინიმუმთან შე-
დარებით (სიცილი) ფეხსადგილი ანტისინიტარულ
მდგომარეობაშია.

ოგან ვარვარჩიანი (კახეთის მოედანი), დღე-
ღამეში ივნისში ეწეოდა 11.850 კუბომეტრ ეკონომიას
(დაწესებული მაქსიმუმი 14.780 და მინიმუმი—11.090).
ფეხისადგილი ანტისინიტარულ მდგომარეობაშია.

გარდა ამისა, ათისტავიც დებულობს ჯილდოს, მუ-
შების მიერ მიღებულ ყველა ჯილდოს 10 პროცენტის
რაოდენობით (სიცილი).

„ეკონომიისათვის“ ბრძოლა იქამდის მივიდა, რომ ერევნის მოედანზე არსებულ ფეხისადგილში მოუხსნიეთ ზაკანი და ონკანი, რომელიც წინათ ხელის დასაბანად იყო მოწყობილი, და ეს ადგილი ახლა შემოფარგლულია (სიცილი).

სამხარეო კომიტეტის ბრიგადის მიერ კანალიზაციის მდგომარეობის გამოკვლევამდე ამ საკითხით არავინ იყო დაინტერესებული: არც ტფილისის საბჭო, არც ყოფილი კომუნალური განყოფილება, არც სხვა ორგანიზაციები. ალბათ ფიქრობდენ, რომ ეს წვრილმანებია, რომლებიც ყურადღების ღირსი არაა, მაგრამ ისინაც ზომ ახასიათებენ ქალაქის კეთილმოწყობის მდგომარეობას და ამ საქმისადმი ტფილისის საბჭოს დამოკიდებულებას.

მაშასადამე, ქალაქის კეთილმოწყობის სამი ძირითადი ელემენტის ხაზით (საბინაო მშენებლობა, წყალსადენი, კანალიზაცია, ტფილისის საბჭოს მუშაობა არ ბრწყინავს მაჩვენებლებით.

როგორი მდგომარეობაა ქალაქზე ტფილისის საბჭოს სამუშაოთა სხვა მაჩვენებლების მხრივ? მე მხედველობაში მაქვს ისეთი მომენტები, როგორიცაა ქალაქის არქიტექტურული გაფორმება, მისი გამწვანება. მისი საინტარია და სისუფთავე. აქაც ყველაფერი რიგზე ვერ არის.

ტფილისის არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმება

ტფილისის საბჭოს დღემდის არა აქვს ქალაქის არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმების კომპლექსური

პროექტი, რის გამოც ქალაქის გაფორმება ხდება ქიურად, ხოლო ხშირად უგეგმურად და უვიცად.

სახლების ფასადების შეღებვა უხეიროდაა შესრულებული, რამდენიმე თვის წინათ შეღებილი ყველა ფასადი უკვე გაფცქვნილი და არასასიამოვნო შესახედავია.

თვალში გეცემა თვით ტფილისის საბჭოს შენობა-მხატვრულად შეალამაზეს, მხოლოდ წინა ფასადი, გვერდის ორი ფასადი კი ხელუხლებელია და უმსგავსოდ გამოიყურება.

ან აიღეთ სახლი რუსო. პროსპ. № 22 (ც. კ-ის ყოფ. შენობა). შეუწყნარებელი მდგომარეობაა, როცა დიდი ხნით დამთავრებული შენობა რუსთაველის პროსპექტის ყველაზე ცენტრალურ ადგილას ჯერ ისევ რალაც ლაქებიითაა გასვრილი და არ არის შეღებილი.

თუმცა ამ სახლს ტფილისის საბჭო არ აფორმებს, მაგრამ ტფილისის საბჭოს იძულებული გაეხადა ამ უზარმაზარი სახლის გარეგნული გაფორმება დაეჩქარებინათ.

ქალაქის ქუჩებში კიოსკების და ბუდეების განაწილების საქმეშიც დომხალია გამეფებული.

მოსკოვის და ლენინის ქუჩების კუთხეში სკვერის წინ დადგმულია 3 ბუდეა, რომლებიც ქვეითა მგზავრებს ხელს უშლიან ქუჩაზე გადავიდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ტრანსპორტზე, რომელიც პირდაპირ იძულებული ხდება გაძვრეს მათ შორის.

კარლ მარქსის მოედანზე აღებული დარაბების ადგილას აგრეთვე გაჩნდა ერთბაშად 3 ბუდეა; დარაბების აღების შემდეგ განთავისუფლებული ფართობი მოგაგონებთ დეზერტირების ბაზრის კუთხეს.

ტფილისის საბჭოს მგეგმავ-გეოდეზიურ სექტორში არ მოიპოვება ამ ფართობის დაგეგმვის სქემა. სახლების

გაშიშვლებული კედლები აუმსგავსოებენ ტრამვაის და სხვა ბოძები, როგორც წინათ დგანან თავის ადგილებზე, მოედნის შუა ადგილას და ხელს უშლიან მოძრაობას.

უხეიროდ გამოიყურება სადგურის მოედანიც, რომლის მხატვრული გაფორმება შეიძლება გაზონების, საყვავილეების და სხვ. მოწყობით.

გამწვანება

ქალაქის გამწვანების შესახებ, ზოგიერთ რამეს ჩვენ აქ ვაკეთებთ, მაგრამ ძალიან ცოტას.

ტფილისის გამწვანების კაპიტალური სამუშაოები, რუსთაველის პროსპექტის და დასვენების პარკის სამუშაოებს გარდა, არ წარმოებდა.

რუსთაველის პროსპექტი ჯერ კიდევ მოითხოვს მთელ რიგ დამატებით ნარგავებს. კულტურისა და დასვენების პარკში მუშაობა დღეისათვის ჩამკვდარია.

სკვერების და ბაღების მდგომარეობა ცუდია.

აბას-აბასის მოედანზე მდებარე ბაღი მოუვლელია, გზები და გაზონები გაჭუჭყიანებულია, ხეების ნაწილი ხმება; რკინის დაფა, რომელზედაც წარწერილია ტფილისის საბჭოს წესები და დადგენილებები ხეებას გაფუჭების აკრძალვის შესახებ—რკინის ლურსმნებით მიკრულია ერთ-ერთ საუკეთესო ხეზე; მოქნილი ტანას ხეები მიმაგრებულია შოაჯირზე ეკლიან მავთულით, რომელიც მაგრადაა მოჭერილი ხის ტანზე, რის გამოც ხეები ხმება.

თვით ტფილისის საბჭოს გვერდით დიდ და კარგ ხეზე მიკრული იყო რკინის ფიცარი წარწერით „შტემპელები და ბეჭდები“-ს ოსტატის მისამართის აღნიშვნა.



ნით. ხეს შიგნით უკვე აქვს ორუ, ეს ფიცარი მოხსნა
 იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბრიგადირმა მიუთითა
 ამაზე მილიციონერს, ხოლო ტფილისის საბჭოს წევრები,
 რომლებიც ყოველ დღე აუვლ-ჩამოუვლიდენ ხოლმე ამ
 ხეს, არ აქცევდენ ამას ყურადღებას.

სუსტად წარმოებდა მუშაობა ქალაქში ტყის გაშე-
 ნებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში იბეჭ-
 დებოდა მრავალისმეტყველი წერილები „მწვანე რკა-
 ლის შესახებ“.

დენდროლოგიური პარკი სასაფლაოს მახლობლად
 ვერაზე, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს ხეების ყვე-
 ლა ჯიშის და ბუჩქნარების გამოყვანა, ახდენს ბოსტნას
 და ისიც მოუვლელი ბოსტნის შთაბეჭდილებას.


პარკში ფართობის 90 პროცენტზე დარგულია სი-
 მინდი, პამიდორი, კომბოსტო, ბადრიჯანი და სხვ. (სი-
 ცილი).

ასე წარმოებს ტფილისის გამწვანება ტფილისის სა-
 ბჭოს მზრუნველობით.

ბევრი დღემდეც ვერ მიმხვდარა, რომ ქალაქის გა-
 მწვანება, ეს ფუფუნება და კაპრიზი კი არ არის, არა-
 მედ უაღრესად სერიოზული ამოცანაა, უაღრესად სერი-
 ოზული კიდევ იმიტომ, რომ ტფილისში არც ისე ბევრია
 მწვანე ნარგავები, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია.

ტფილისის სანიტარული მდგომარეობა

უკეთ მდგომარეობაშია ქალაქის გასუფთავების საქ-
 მე. მიმდინარე წელს ქალაქ ტფილისის გასუფთავების
 და მის სანიტარულ მდგომარეობაში მოყვანის საკით-
 ხებს ტფილისის საბჭო და რაისაბჭოები დიდ ყურადღე-
 ბას აქცევდენ იმიტომ, რომ ეს საკითხი დასვა საქართ-



ველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ცენტრ. კომიტეტმა ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ამ მხრივ; მან ამ საქმეში ჩააბა სახელმწიფო პოლიტსამმართველო, მილიცია და სხვ.

სტალინის და „26“ სახელობის რაისაბჭოები საკმაოდ კარგ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევენ ქალაქის დასუფთავების ტრესტებს და სანიტარულ სადგურებს. ორჯონიკიძის და ლენინის რაისაბჭოები თუმცა აქცევენ ყურადღებას რაიტრესტების საკითხებს, მაგრამ ჯერ კიდევ უკმარისად.

რაც შეეხება ტფილისის საბჭოს, მისი პრეზიდიუმის მონაწილეობა და დახმარება თითქმის სრულიად არ ჩანს. ტფილისის საბჭო, რომელსაც გამოაქვს სხვადასხვა გადაწყვეტილებანი და სავალდებულო დადგენილებანი ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, კონკრეტულად არ ამოწმებს, თუ როგორ სრულდება ეს გადაწყვეტილებანი, ხოლო ისინი ძალიან ხშირად არ სრულდება.

ქალაქის დასუფთავების ერთთვიური მიმდინარეობდა ტფილისის და რაიონული საბჭოების და მათი მასობრივი ორგანოების—საბინაო კოოპერაციის და საბინაო საიჯარო ამხანაგობათა აქტივის, ცალკეულ საწარმოთა და მედპერსონალის საკმაოდ აქტიური მონაწილეობით. მაგრამ ერთთვიური ჩატარდა და მუშაობა კვლავ შესუსტდა.

ქალაქის დასუფთავებისა და რაიონული ტრესტებზე ვერ უწევენ მომსახურებას ყველა სახლს რაიონის ფარგლებში. ტრესტებს გააქვთ ქალაქში დაგროვილი მთელი ნაგავის არა უმეტეს 60 პროცენტისა.



წლის პირველ ნახევარში ლენინის რაიონის ტრესტმა გაიტანა ნაგავი გეგმის 46 პროც.

სტალინის რაიონის ტრესტმა—72 პროც.

ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ტრესტმა—92 პროც.

მხოლოდ 26 კომუნარის სახელობის რაიონის ტრესტი, რომელიც საკმაოდ არის უზრუნველყოფილი სატრანსპორტო საშუალებებით და მუშა-ხელით, მთლიანად ასრულებს ნაგავის გატანის გეგმას. მაგალითად წლის პირველი ნახევრის გეგმა მან შეასრულა 100,7 პროცენტით, ხოლო ივლისის გეგმა—101 პროც.

მაგრამ არ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ ქალაქი უკვე მოყვანილია სანიტარულ მდგომარეობაში. ბევრა ეზო და ქუჩა ჯერ კიდევ უაღრესად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. მაგალითად, საბაყოს ქუჩა № 4 სახლში (სტალინის რაიონი) მთელი გასასვლელი ალაყაფის კარებთან 3 მეტრის სიგანეზე ისეა ავსებული ნაგავით, რომ ორ კაცს ერთად არ შეუძლია გავლა. ასეთივე მდგომარეობაა სახლი № 3-ში მილუტინის ქუჩაზე, სადაც ნაგავის გროვა ეყარა ორ თვეზე მეტს და გაიტანეს მხოლოდ 24 აგვისტოს.

საწარმოებშიაც კი არ ექცევა სათანადო ყურადღება ეზოების სანიტარულ-მდგომარეობის დაცვას; მაგალითად, № 1 ფეხსაცმელის ფაბრიკის ეზოში სანაგვე ყუთს არა აქვს სახურავი, ნაგავი არ გააქვთ თავის დროზე, არამედ აგროვებენ ტომრებში, რომლებიც იქვე აწყვია და ღებება.

ნაგავის გატანის ქირა შემოდის არარეგულიარულად, კლიენტების დავალიანება 1932 წელს სტალინის რაიონში შეადგენდა 90 ათას მანეთს. ყველაზე უფრო

უწესო გადამხდელია ზოგიერთი საბინაო საიჯარო ამხანაგობა. მაგალითად, საბინაო საიჯარო ამხანაგობა № 163 პუშკინის ქუჩა № 11. (თავმჯდომარე ამხ. კიკნაძე), არ იხდის ფულს ნავვის გატანისათვის 1932 წლიდან დ ამისი დავალიანება უდრის 725 მანეთს; საბინაო საიჯარო ამხანაგობას № 38 კომუნალური ქუჩა № 61 (თავ-რე ამხ. მარჭაროვი) მართებს 887 მანეთი; საბინაო საიჯარო ამხანაგობას № 177 (რუსთაველის პროსპექტი № 35—37) მართებს ნავვის გადასატანი—1.180 მანეთი; ამხანაგობა № 121-ს—860 მანეთი.

არაწესიერ გადამხდელთა საქმეები თუმცა ტრესტების მიერ გადაცემულია სასამართლოში (მაგალითად, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ტრესტმა გადასცა სასამართლოს 535 საქმე), მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებანი უმეტეს შემთხვევაში არ მოყავთ სისრულეში, ვინაიდან საბინაო-საიჯარო ამხანაგობანი თავს იმართლებენ სახსრების უქონლობით, ხოლო ტრესტები და ტფილისის საბჭო არ ახდენენ მათზე სათანადო გავლენას და მათ არ მიყავთ დაწყებული საქმე ბოლომდე.

ზოგიერთს ჰგონია, ნავვის გატანის, ე. ი. ქალაქის დასუფთავების საქმე—ეს სათაკილო საქმე იყოს. ეს არ არის სწორი. სასაცილო იქნებოდა ამაზე დავა. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ სისუფთავის დაცვას ქალაქში. საწყენია, როცა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულები გაკვირვებით უყურებენ ტფილისის ჭუჭყიანობას. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ტფილისის საბჭოს მუშაობის დეფექტების ძირითადი მიზეზი ამ საკითხების, საკმაოდ მარტივი და ელემენტარული საკითხების დარგში, ეს ისაა, რომ ტფილი-

სის საბჭოს ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია თავისი
ობა, იგი ჯერ კიდევ არ გადასულა მთლიანად მუშაო-
ბის იმ ტემპებზე, რომლებითაც ამჟამად საჭიროა მუშა-
ობა. უაღრესად დაბალია პასუხისმგებლობის გრძნობა,
ცალკეული დარგების ხელმძღვანელებს არ შესტკივიათ
გული მათთვის ჩაბარებული საქმისათვის.

გაიხსენეთ, მე უკვე გიამბოთ თქვენ, რომ ბევრი
მათგანი ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკვლევამდე ერთ-
ხელაჯ არ ყოფილა მშენებლობაზე, თავისი მუშაობის
პერიფერიულ უბნებში. განა შესაწყნარებელია ასეთი
მუშაობა? ეს ხომ მუშაობის კანცელარულ ფორმალურია
და ბიუროკრატიული მეთოდის საუკეთესო ნიმუშია.

მე კიდევ შეეჩერდები ზოგიერთ საკითხზე.

ტფილისის საგზაო მეურნეობა

ტფილისის საგზაო მეურნეობა სრულიად არ შეე-
ფერება დიდი სამრეწველო ქალაქის და მის გაზრდილი
ტვირთბრუნვის მოთხოვნებს.

ქუჩების და წყლის სანაპიროების საერთო მანძილი-
დან მოკირწყლულია სულ 64,7 პროც. მოკირწყლულ
ქუჩებიდან ქვაფენილით დაფარულია 84,2 პროც., ძე-
ლაკებით 9,1 პროც., ასფალტ-ბეტონით—1 პროც.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ გაუმჯობესებელი ფენი-
ლით დაგებულია სულ მხოლოდ 10,1 პროც.

დანარჩენი ქუჩები ტფილისში ძალიან ცუდ მდგო-
მარეობაშია. მათი რემონტის ხარისხი მეტად დაბალია.
თითოეულ ჩვენგანს შეუძინევია, რომ ყოველგვარი რე-
მონტის შემდეგ როგორც კი გაივლის ორი კვირა, ქუჩა
კვლავ იფარება ორმოებით, ოღროჩოდრო ადგილებს
და სხვ. ტრამვაის ხაზის რემონტი განუწყვეტლივ წა-



მოებს და ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი გაუმჯობესება არის საჭირო.

არავის არ გამოუანგარიშია, მაგრამ ჩვენ ალბათ საგრძნობ თანხას ვხარჯავთ ავტორეზინაზე, რომელიც ფუჭდება ტფილისის ქუჩებში.

მუშაობის ტემპები დაბალია: რუსთაველის პროსპექტის რაღაც 1 ნახევ. კილომეტრის ასფალტით დაგებას 6 თვე დასჭირდა და ისიც ც. კ-ის ხშირი ზემოქმედებით. ფაქტიურად ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი რივიანი თანამედროვე ქუჩა—რუსთაველის პროსპექტი. თითქმის ყველა დანარჩენი ქუჩა მივარდნილი პროვინციალური ქალაქის ქუჩას უფრო წააგავს. მე აღარაფერს ვამბობ განაპირა უბნებზე: ავლაბარსა, დიდუბესა და ორთაქალაზე.

ალბათ სუსტია ტექნიკური ზედამხედველობა, სუსტია ტფილისის საბჭოს ხელმძღვანელობა ამ საკითხში.

ჩვენ ენერგიულად უნდა მოვკიდოთ ხელი ქუჩების წესრიგში მოყვანას, ასფალტის დაგებას. ჩვენთვის ეს საქმე ახალია. ჩვენ სათანადო მოწყობილობაც კი არ გვქონდა, როცა დავიწყეთ რუსთაველის პროსპექტზე ასფალტის დაგება. ჩვენს წინაშე ბევრი სიძნელეა, რომელიც უნდა გადავლახოთ გაათქვამებული ენერგიით.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მხოლოდ ერთი სატრანზიტო ქუჩაა—რუსთაველის პროსპექტი და ამა თუ იმ ნაწილში მიმავალმა აუცილებლად უნდა გაიაროს რუსთაველის პროსპექტზე, რადგან სხვა ქუჩა არ არის. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ მიმდინარე წელს გავიყვანოთ სანაპირო ქუჩა მწვანე ნარგავებით ახალი ხიდიდან ელბაქიდის ხიდთან გავლით ავლაბრამდე. ეს ძვირად დაჯდება, სამუშაო ძალიან ბევრია: მარტო მიწა იქ მისა-



ტანია 250 ათასი კუბომეტრი. მაგრამ ეს იქნება კარგი და დიდი საქმე. ტფილისს ექნება ახალი რომელიც რუსთაველის პროსპექტს განტვირთავს ზემოტი ტრანსპორტისაგან, ხოლო მშრომელთ საშუალება მიეცემათ დაისვენონ და ისეირნონ მტკვრის პირას. შეუკვე აღარაფერს ვამბობ ამ სანაპირო ქუჩის სანიტარულ მნიშვნელობაზე. სანაგვე ადგილი გადაიქცევა კეთილმოწყობილ კუთხედ.

ჩვენ გადავწყვიტეთ ამავე წელს წესრიგში მოვიყვანოთ კიდევ ერთი ქუჩა, ავლაბრის მუშათა რაიონში, ე. წ. მაგისტრალური ქუჩა. ამისათვის ჩვენ ფულიც გამოვინახეთ. მაგისტრალური ქუჩის ორივე მხარე დასახლებულია მუშებით, მაგრამ ეს ახლა ქუჩა კი არ არის, არამედ უხეირო შარაგზა ოღრო-ჩოღრო ადგილებით, ორმოებით, და სხვ. ჩვენ ვფიქრობთ, დარჩენილი 3 თვას განმავლობაში ამ საქმეს მოვათავებთ.

სასკოლო საქმე

მოკლედ შევეხები ტფილისის სახალხო განათლების მდგომარეობას, უმთავრესად სამეურნეო თვალსაზრისით: როგორ მოემზადა ტფილისის განათლების განყოფილება სასწავლო წლისათვის, რა დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწია ამ საქმეში მას ტფილისის საბჭომ?

წარსულ სასწავლო წელთან შედარებით სასწავლო წლის მომზადება საკმაოდ ენერგიულად, ჩატარდა: სკოლების უმრავლესობამ წვრილი რემონტი დაამთავრა, ჩასვა მინები, დაამზადა სათბობი, მოიმარაგა სექტემბრისათვის რეგულები და სხვ. და მაინც მთელ რიგ სკოლებში რემონტი ჯერ კიდევ არ არის სავსებით დამთავრებული. სკოლებში უსუ-



ფთაობა და უწყესრიგობაა. მე-31 სკოლაში კედლები ყველგან შეათეთრეს, ხოლო საპირფარეშოები კვლავ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ასეთსავე მდგომარეობაშია მე-32 საფაბრიკო საქარხნო ათწლედის საპირფარეშოები. მე-107 საფაბრ.-საქარხნო შვიდწლედში ქიმიის კაბინეტში დაგროვილია შუშის ნამსხვრევები და სხვ. მე-8 სკოლის ექიმის კაბინეტიც კი (ექიმი წერეთელი) არ სტოვებს სისუფთავის და ჰიგიენურობის შთაბეჭდილებას. ტფილისის საბჭოს მიერ რემონტისათვის გაღებული ხუთასი ათასი მან. მეოთხედაც ვერ უზრუნველყოფს საჭირო რემონტს. მაგრამ არა მარტო რემონტია ზოგიერთი სკოლის სუსტი ადგილი. სტალინის რაიონულმა განათლების განყოფილებამ ძალიან დააგვიანა სკოლების გადაჯგუფება, რის გამოც მე-31, მე-113 და მე-82 სკოლებმა 1-ლ სექტემბრისათვის არ იცოდენ, თუ სად უნდა გადასულიყვნენ. ასეთივე სურათია მთელ რიგ სხვა სკოლებში. ეს მაშინ, როცა მეცადინეობა პირვანდელი გეგმით უნდა დაწყებულიყო 1 სექტემბერს.

უნდა პირდაპირ ითქვას, ტფილისის განათლების განყოფილება არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, ხოლო ტფილისის საბჭო ძლიერ ცოტას ზრუნავს სკოლებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ტფილისში არ აშენებულა არც ერთი სპეციალური სასკოლო შენობა. სკოლის მშენებლობა ლენინის რაიონში შეჩერდა, რადგან ტფილისის საბჭომ

სასკოლო მშენებლობის ბიუჯეტი შეკვეცა 430 მანეთით.



ტფილისის განათლების განყოფილების 94 შენობიდან კი მხოლოდ 23 არის სპეციალურად სასკოლო შენობა.

სახალხო განათლების განყოფილების სკოლებში 660 ოთახი უკავიათ კერძო პირებს, რაც შეადგენს საკლასო ოთახების საერთო რაოდენობის 47%. ოთახების განთავსუფლება კერძო პირებისაგან სუსტად, მიმდინარეობს, ტფილისის საბჭო აქ არ იჩენს საჭირო ტემპებს და თაოსნობას.

ორჯონიკიძის რაიონში რაისაბჭომ თავისი თანამშრომელი რაიფინგანყოფილების გამგე შეასახლა მე-13 შრომის სკოლაში.

და, ბოლოს მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და განათლების სახალხო კომისარიატის კატეგორიული გადაწყვეტილებისა, რომლის თანახმად სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მომხდარიყო მასწავლებლებისადმი შრომის ხელფასის დავალიანების ლიკვიდაცია, ლენინის რაიონში 1 სექტემბრისათვის არ იყო გასტუმრებული ივლისის ხელფასი. შრომის ხელფასის გასტუმრებაში შეფერხებას ადგილი ჰქონდა სხვა რაიონებშიაც.

დროა ბოლო მოვულოთ ამ მოვლენას. დროა ვისწავლოთ ფინანსების იმგვარად დაგეგმვა, რომ შესაძლებლობა გვექნეს შევასრულოთ სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებანი. ამხ. ქაცარავამ უნდა იბრძოდოს, როგორც რიგი და წესია, თავის საქმისთვის, ტფილისის

სახალხო განათლების საქმისთვის. რატომ ეთხოვება მაინც არ დასვა მან საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტში საკითხი ტფილისის განათლების განყოფილების შესახებ? მას იგი უნდა დაესვა და ცენტრალური კომიტეტი დაეხმარებოდა მუშაობაში.

ბიუჯეტი

ორიოდე სიტყვა ბიუჯეტის შესახებ. სწორად და დროულად შედგენილი ბიუჯეტი ყოველ ორგანიზაციაში მრავალმხრივად განსაზღვრავს მუშაობის ნორმალურად დაგეგმვას, მისი ნორმალური მიმდინარეობის საკითხებს. ეს მით უმეტეს შეეხება ისეთ მძლავრ ორგანიზაციას, როგორც არის ტფილისის საბჭო, რომლის განკარგულებაშია რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი. ამავე დროს, ტფ. საბჭოს 1933 წლის ბიუჯეტი პრეზიდენტმა მიიღო მხოლოდ 2 აგვისტოს და მას მხოლოდ დღეს ამტკიცებთ თქვენ ამხ. ბაგრატი მაჩაიძის მოხსენების მიხედვით. საჭიროა დიდი გამბედაობა, რომ მე-9 თვეზე გააკეთო მოხსენება ბიუჯეტის შესახებ. როგორც ჩანს, ამ გამბედაობას ამხ. ბაგრატი არ არის მოკლებული, რაშიაც, სხვათა შორის, ჩვენ არასოდეს არ გვეპარებოდა ეჭვი (სიცილი).

ბუნებრივია, რომ კვარტალური საბიუჯეტო—საკასო გეგმებსაც ამტკიცებენ და ადგილებზე გზავნიან დიდი დაგვიანებით: მაგალითად, მეორე კვარტალს, გეგმა დაგზავნილ იქნა 17 მაისს, ხოლო მესამე კვარტალის 20 აგვისტოს.

ტფილისის საბჭოს მაგალითს ბაძვენ აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული საწარმონი, რომელნიც საკასო გეგმებს ტფილისის საბჭოს ურდგენენ დიდი და-

გვიანებით, ხოლო კვარტალურ ავანსებს უმეტეს შემთხვევაში სრულიად არ უდგენენ. მაგალითად, ტფილისში მრეწვემა თავისი საანგარიშო მასალები აპრილის ნაცვლად წარადგინა ივლისის დამლევს. სახლების ტრესტებს, ქალაქის დამსუფთაებელ ტრესტებს არც ერთი კვარტალის მასალები არ წარუდგენიათ.

სახალხო მეურნეობის დამაკმაყოფილებელ დაფინანსებასთან ერთად (პირველ ნახევარ წელში წლიური გეგმის 55,6 პროცენტი), ადგილი აქვს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის გაღებული ასაგნობების სუსტად, წლიური დანიშნულების მხოლოდ 39 პროც. გამოყენებას. აქედან გამომდინარეობს მასწავლებლებისადმი დავალიანების ის ფაქტები, რომელთა შესახებ მე გელაპარაკეთ. შრომის ხელფასს არ აძლევენ აგრეთვე ექიმთა პერსონალს. სკოლების პოლიტიკნიზაციის და სასწავლებლების მოწყობის ხარჯების გეგმა 7 თვის განმავლობაში შესრულებულია მხოლოდ 12,6 პროცენტით.

ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას ბიუჯეტის რატიციების დაგვიანების პრაქტიკა.

არ შეიძლება ამის გადაქცევა რაღაც ცალიერ ფორმალობად.

გადაჭრით გავაუმჯობესოთ მუშათა რაიონ-ნების მომსახურება

გადაჭრით გავაუმჯობესოთ მუშათა რაიონების მომსახურება.

არის ტფილისის საბჭოს მუშაობის კიდევ ერთი მხარე, რომელიც მან არ უნდა დაივიწყოს. ტფილისის საბჭო მარტო სამეურნეო ორგანო როდია, რომელსაც



აქვს მთელი რიგი კონკრეტული სამეურნეო ერთეულები და მუშაობის დარგები. ტფილისის საბჭო პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოა, ხელისუფლების ორგანოა, რომელსაც ემორჩილება თითქმის ყველაფერი, რაც კი ტფილისის ტერიტორიაზე მოიპოვება.

აქედან გამომდინარეობს, ტფილისის საბჭოს მოვალეობაა მეთვალყურეობა გაუწიოს ბევრ ისეთ რამეს, რაც უშუალოდ შეიძლება არც შედის მისი ქვემდებარების სფეროში.

ავიღოთ მაგალითად, საზოგადოებრივი კვების საკითხი, საზოგადოებრივ კვებას განაგებს საზკვების ტფილისის ტრესტი, რომელიც, როგორც ცნობილია, შედის ცეკავშირის სისტემაში.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ტფილისის საბჭოს არ უნდა აინტერესებდეს ტფილისში საზოგადოებრივი კვების საქმის დაყენება?

არა, არ ნიშნავს.

პირიქით, ტფილისის საბჭოს უნდა აინტერესებდეს ის, თუ როგორ იკვებებიან არა მარტო ტფილისის საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა მუშები, არამედ უნდა აინტერესებდეს საერთოდ ტფილისის მშრომელთა კვების საქმე. ეს მისი უფლებაა, მისი მოვალეობაა. მაგრამ კვების საქმე ცუდადაა დაყენებული ტფილისის საბჭოს საწარმოებშიაც. მე არ მოვიყვან მაგალითებს, რომ თქვენი ყურადღება არ დავლალო. მაგრამ უმაგალითებოდაც ამას თქვენ კარგად იცნობთ.

მეორე საკითხი: ვაჭრობა ტფილისში, ფასები და სხ. განა ეს საკითხი ტფილისის საბჭოს არ შეეხება?

შეიარეთ რომელიც გნებავთ იმ სისტემის მალაზიებში: ვიტრინებში მტვერი და ჭუჭყია, შემოდებულა



იძულებითი ასორტიმენტი; მალაზიებში საქონელი არ არის, ხოლო საწყობებში საკმაოა. ფასები ერთ და იმავე საგანზე სხვადასხვა მალაზიაში სხვადასხვანაირია; სავაჭრო წერტები ქალაქში თანაბრად არაა განაწილებული. ზოგან რიგებია, ზოგან კი სიცალიერეა; ზოგჯერ კიდთან დაძველებულ, აშკარად უვარგის საქონელს.

მოსკოვში თუ ამხ. სულიმოვს შეედლო მალაზიების შემოვლა და უვარგისი საპნის აღმაშფოთებელი ისტორიის გამორკვევა, რატომ არ შეუძლია ეს ამხ. მაჩაიძეს ან ტფილისის საბჭოს სხვა წევრებს? ეს მეტად სასარგებლო იქნებოდა. იქნებოდა მათთვისაც და ტფილისის მშრომელებისათვისაც. ტფილისის საბჭო ხომ ტფილისის ბატონ-პატრონია.

შეიძლებოდა მომეთხრო თქვენთვის ტფილისის საბჭოს მუშაობის სხვა უბნების მდგომარეობის ამბავიც. ეს ვერ შეცვლიდა საერთო სურათს. ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია.

ტფილისი ჯერ-ჯერობით სრულიადაც არ არის სანიმუშო ქალაქი. ტფილისი ჯერ კიდევ უდიდეს მუშაობას და დახმარებას მოითხოვს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ქალაქებს გვერდში ამოუდგეს.

ტფილისის საბჭომ, ერთგვარ წარმატებებთან ერთად, ჯერ კიდევ ვერ მიაღწია აუცილებელ გარკვეულობას მუშაობაში, გეგმიანობას და ოპერატიულობას, ჯერ კიდევ ვერ ისწავლა საქმის კონკრეტული ხელმძღვანელობა. ამ მიმართულებით უკანასკნელ დროს თითქოს თავი იჩინა ძვრამ. საჭიროა მისი განმტკიცება და გაფართოება. უნდა განვამტკიცოთ ტფილისის საბჭოს მუშაობის ცალკე უბნები დიდი ხელმძღვანელი მუშაკებით და ტექნიკური კადრებით. გადაჭრით უნდა გავაცხოვე-



ლოთ სექციების და საქალაქო აქტივის მუშაობა ჩავაბათ საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის მუშაობაში ათასეული მუშები, კერძოდ მუშათა ცოლები.

ტფილისის საბჭო მასობრივი ორგანოა, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავს სულ მცირე 1.400 კაცი, ხოლო რაიონებთან ერთად—3 ათასამდე კაცი. 3 ათასზე მეტი კაცი. პარტიის წევრები, აქტიური უპარტიონი, დამკვრელები და კომკავშირელები! თუ მათ მართებულად ვუხელმძღვანელებთ, ისინი გვიჩვენებენ მუშაობის ნიმუშებს. ტფილისის საბჭომ თავისი სამუშაო აპარატი ისეთ მდგომარეობაში უნდა მოიყვანოს, რომ მას ახასიათებდეს გარკვეულობა, კონკრეტობა, ოპერატიულობა. მასებთან კავშირი, მან ამასთან ერთად გარკვეულად უნდა იცოდეს, თუ რა უნდა აკეთოს, რა საკითხებს უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მუშაკებს გული უნდა შესტკიოდეთ თავისი საქმისათვის, ენთუზიუდენ სამუშაოზე. ავიღოთ, მაგალითად, მოსკოვი. დამის პირველ-ორ საათზე. რომ რაურეკოთ მოსკოვის საბჭოს, იქ დაგზვდებათ განყოფილების გამგეც, თანაშემწეც, ინჟინერიც, ტექნიკოსიც. რომ არაფერი ვთქვათ თავმჯდომარისა და მდივნის შესახებ. ჩვენში კი, ტფილისის საბჭოში, საქმე ისეა, თიქო ყველა ისვენებდეს. უნდა გარდავქმნათ ჩვენი თავი და გარდავქმნათ სერიოზულად. თუ არ გარდაიქმნებიან, ჩვენ ვაიძულებთ გარდაიქმნან.

რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება? პირველ რიგში საქიროა ქალაქს მივაწოდოთ წყალი, ნატახტარას სუფთა წყაროს წყალი. წყალი უნდა მიექცეს მუშათა

რაიონებს, რადგან სწორედ ამ რაიონებში წყალი ველთვის როდი აქვთ

ქალაქის წყალსადენის ქსელის გარდაქმნის გეგმა უმოკლეს ვადაში უნდა განხორციელდეს ამ საქმის გაჭიანურება ბოროტმოქმედებაა ტფილისის მუშების წინაშე.

მეორე საკითხია ბინები, უნდა მივალწიოთ, რომ საბინაო მშენებლობა გამოვიდეს იმ უმსგავსო მდგომარეობიდან, რომელშიც იგი დღეს იმყოფება. დაწყებული შენობები სასწრაფოდ უნდა დავამთავროთ. ამისათვის უნდა გადავაჯგუფოთ, არსებული ძალები, საშუალებები, მასალები, არ შეიძლება 3—4 წელს შენება; ამით ჭიანურდება, ძვირდება მშენებლობა. ახალი ბინების მშენებლობასა და დაწყებულის დამთავრებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ძველი სახლების რემონტს, არსებული საბინაო ფონდის შენარჩუნებას—და ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა—პირველ რიგში უზრუნველყოფთ მუშები.

საერთოდ, საჭიროა უაღრესი ყურადღებით და გულისხმიერებით შევიხედოთ მუშათა რაიონებში, ვნახოთ თუ რა არის იქ გაკეთებული, კიდევ რა უნდა გაკეთდეს, გავაუმჯობესოთ განაპირა რაიონების გარეგნული სახე, ხელახლა მოგვიწყლოთ გაგანათოთ და გავამწვანოთ ქუჩები და სხ. უნდა განვახორციელოთ ამხ. სტალინის სიტყვები ჩვენი, საბჭოთა მუშის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ.

ამ საკითხებზე მუშაობას სათავეში უნდა ჩავუყენოთ ისეთი ხალხი, რომლებიც უნდა იყვნენ ტფილისის კომიტეტის ბიუროს წევრები ან ც. კ-ის წევრები.



ეს არის მნიშვნელოვანი, თავსამტვრევი და მოშაობა. რომელმაც უახლოეს წლებშივე უნდა მოგვცეს თავისი შედეგი.

სიძნელეები მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არა გვყავს ხალხი, არა გვყავს ტექნიკოსები, მშენებლები და სხვ. არ მოგვებოება ასეთი ხალხი იმიტომ, რომ წარსულში არ წარმოებდა მუშაობა იმისათვის, რათა დაგვერაზმა და შეგვექმნა ისეთი კადრები, რომლებაც ისწავლიდენ, გაიზრდებოდენ და განმტკიცდებოდენ თავისი მუშაობის პროცესში. იმის გამო, რომ არა გვყავს ხალხი; ჩვენ, მაგალითად, არ შეგვიძლია დავიწყოთ ფუნქცილიორის რეკონსტრუქციის, ტფილისელი მუშის კულტურული დასვენების ადგილად მისი გადაქცევის სამუშაოები. საფუძვლიანად უნდა ვიფიქროთ კადრების მომზადებაზე, მათ შერჩევაზე.

ძალიან მწვავედ დგას ელექტროენერჯის საკითხიც. მეორე რიგის ზაჰესი, რიონჰესი და ტყვარჩელის თბოსადგური—ყველა ეს შევა ერთ საერთო ჯგუფში, რომელიც მიაწოდებს ენერჯიას საქართველოს მთელ მრეწველობას. მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდეს, შეიძლება ტფილისს არ ექნეს ელექტრონის საკმაო ენერჯია. კ. კ.-ის ბიურომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს, მან უნდა გამოძებნოს სათანადო სახსრები და ადგილი, სადაც სპეციალურად ტფილისისათვის მისი ფაბრიკების, ქარხნებსა და მოსახლეობისათვის უნდა აშენდეს ახალი, თუნდაც პატარა სადგური. ერთგვარად იგი იქნება ზაჰესის რეზერვიც. თქვენ იცით, რომ ზაჰესის პატარა კაპრონი—ძეფერხება წყლის მხრივ და ტფილისის საწარმოების მუშაობა ჩერდება.

როგორც ხედავთ, ტფილისში ძალიან ბევრია
შაო.

ტფილისის საქალაქო მეურნეობის საკითხი ჩვენ და-
ვაყენეთ მოსკოვში სადერიქტივო ორგანოების წინაშე
და მოველით გადაწყვეტას.

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა
აზერბეიჯანელი ამხანაგების—ბაგიროვის და სხვ. ინ-
ციატივით, აირჩია ტფილისის დამხმარე კომისია. უახ-
ლოეს დროში ტფილისმა საგრძნობლად უნდა შეიცვა-
ლოს თავისი სახე და გადაიქცეს საბჭოთა ამიერ-კავკა-
სიის ღირსეულ დედა-ქალაქად.

ამ საქმეში უდიდესი როლი ეკისრება ტფილისის
კომიტეტს, გეკისრებათ თქვენ ყველას, აქ დამსწრებს.

ტფილისის საბჭოს ათასმა წევრმა, რომელნიც ტფი-
ლისის პროლეტარიატმა აირჩია, როგორც საუკეთესო
თავისი წარმომადგენელნი, მტკიცედ უნდა მოკიდონ ამ
საქმეს ხელი და სხდომიდან სხდომამდე კი არ უნდა გაი-
ხსენონ ხოლმე იგი, არამედ განუწყვეტელი მუშაობა
უნდა გასწიონ.

ტფილისს საბჭოს წევრები იმას კი არ უნდა ელო-
დენ, თუ როდის დაუძახებენ მათ სამუშაოდ, დაუძახებენ
სხდომებისათვის, არამედ თითონ უნდა მიდიოდენ იქ და
მოითხოვდენ საქმეს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ტფილისი საქართვე-
ლოს და ამიერ-კავკასიის ფედერაციის ღირსეული დედა
ქალაქი იქნება და ჩვენი კავშირის საუკეთესო ქალაქების
რიგში ჩადგება, თუ ამას მოისურვებენ საქართველოს და
ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები (მხურვალე, ხანგო-
ძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).

ს ა რ ჩ ე შ ი

1. შესავალი	3 გვ.
2. ტფილისი უნდა გადაიქცეს ამიერ-კავკასიის სანიმუშო ქალაქად	4 „
3. კონკრეტულად და ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ ქალაქის თითოეულ საწარმოს.	10 „
4. ტრამვაი	12 „
5. საშენ მასალათა წარმოება	17 „
6. საბინაო მშენებლობა	21 „
7. კანალიზაცია	30 „
8. ტფილისის არქიტექტურული მხატვრული გაფორმება .	34 „
9. გამწვანება	36 „
10. ტფილისის სანიტარული მდგომარეობა.	37 „
11. ტფილისის საგზაო მეურნეობა	41 „
12. სასკოლო საქმე	43 „
13. ბიუჯეტი.	46 „
14. გადაჭრით გაცუემჯობესოთ მუშათა რაიონების მომსა- ხურეობა	47 „



中華民國國家圖書館
2025-09-03

524